პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 188 (18430) კვირა, 15 აგვისტო, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

15 აგვისტო საბჭოთა საჰაერო ფლოტის დღე

## დაჯდომამდე 40 წამით ადრე

ჩრდილოეთ კავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქი. საწვრთნელი დავალება შესრულებული იყო და თვითმფრინავი დასაჯდომად დაეშვა. მოულოდნელად აინთო სიგნალი — „მარცხენა ძრავას ცეცხლი უკიდია". გვარდიის მაიორის ვალერი ზინოვიევის რეაქცია ელვისებური იყო: ჩაკეტა გაზი და საწვავის ონკანი, თითი დააჭირა ხანძარჩასაქრობის კნოპს. მაგრამ ხელსაწყო კვლავ აკიაფდა: ცეცხლი მარჯვენა ძრავაშია!

აეროდრომამდე კიდევ 40 წამი სჭირდებოდა. ქვეშ ზღვა მოჩანდა, კურსზე დასახლებანი არ იყო. „შეიძლება მუშაობა, კატაპულტირებას ყოველთვის მოვასწრებ", — გადაწყვიტა ზინოვიევმა.

ახლა მთავარი იყო თავდაჭერა. არავინ იცოდა, რა ელოდა ძრავებს, ჩააქრობდა თუ არა ხელსაწყო ცეცხლს. ბედად, კაბინაში ბოლი არ იყო, ჰიდრავლიკა მუშაობდა, და მორჩილი მანქანის მიტოვება ენანებოდა. როცა თვითმფრინავის თვლები ბეტონს შეეხო, სახანძრო მანქანები იქვე გაჩნდნენ. ცეცხლი ჩააქრეს.



აეროდრომზე გამოირკვა, რომ ცეცხლი მეხს გაუჩენია, მეორე ძრავაში ხანძრის სიგნალი კი მაღალმა ტემპერატურამ გამოიწვია.

მეთაურის ბრძანებაში აღინიშნა ოფიცრის გაბედული და სწორი მოქმედება. მან გადაარჩინა ტექნიკა, საშუალება მისცა სპეციალისტებს შეესწავლათ ძრავების მუშაობა საგანგებო პირობებში. გვარდიის მაიორს ვალერი ზინოვიევს (სურათზე) მადლობა გამოუცხადეს.

ე. ნედერის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

# სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1982 წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები და 1982 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს:

| შეჯიბრებული | გამარჯვებული |
| --- | --- |
| საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო | საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო |
| საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო — საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო | საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო |
| ღვინის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტი" — ჩაის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაი" | ჩაის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაი" |
| საქმთავარენერგო — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო | საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო |
| საქართველოს სსრ სახმომარაგება — საქსახსოფლტექნიკა | საქსახსოფლტექნიკა |
| საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო | საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო |
| საქმთავარმონტაჟსპეცმშენი — საქჰიდროენერგომშენი | საქმთავარმონტაჟსპეცმშენი |
| საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო | საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო |
| საქმთავარმონტაჟსპეცმშენი — საქმთავარწყალმშენი | საქმთავარმონტაჟსპეცმშენი |
| საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო | საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო |
| საქართველოს საზღვაო სანაოსნო — ამიერკავკასიის რკინიგზა (საქართველოს სსრ ტერიტორიის მიხედვით) | საქართველოს საზღვაო სანაოსნო |
| საქართველოს სსრ საბინაო და კომუნალური მეურნეობის სამინისტრო — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო | საქართველოს სსრ საბინაო და კომუნალური მეურნეობის სამინისტრო |
| საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო — საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო | საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო |
| საქართველოს სსრ სახმომარაგება — საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტი | საქართველოს სსრ სახმომარაგება |

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შორის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი არ გამოვლინდნენ იმის გამო, რომ მათ ვერ შეასრულეს ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, აგრეთვე დაარღვიეს ანგარიშგების ვადები.

აღინიშნა, რომ კარგად იმუშავეს ღვინის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის", საქმთავარენერგოს, საქჰიდროენერგომშენის საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივებმა, რომლებმაც შეასრულეს გეგმა-ვალდებულებანი ცალკეული ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით.

1982 წლის პირველი ნახევარში ასს რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს:

| შეჯიბრებული | გამარჯვებული |
| --- | --- |
| **ასს რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი** | |
| აფხაზეთის ასსრ — აჭარის ასსრ | აფხაზეთის ასსრ |
| აფხაზეთის ასსრ — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | აფხაზეთის ასსრ |
| **ქალაქები** | |
| ბათუმი — სოხუმი | სოხუმი |
| გორი — ცხინვალი | გორი |
| ფოთი — ზუგდიდი | ფოთი |
| ქუთაისი — რუსთავი | ქუთაისი |
| ჭიათურა — ტყიბული | ტყიბული |
| ტყვარჩელი — ტყიბული | ტყიბული |
| **რაიონები** | |
| გეგეჭკორის — ოჩამჩირის | ოჩამჩირის |
| ასპინძის — შუახევის | შუახევის |
| მესტიის — ორჯონიკიძის | ორჯონიკიძის |
| სამტრედიის — ხაშურის | სამტრედიის |
| თეთრი წყაროს — კასპის | თეთრი წყაროს |
| ბორჯომის — ქ. წყალტუბოს ზონა | ბორჯომის |
| ბოგდანოვკის — საგარეჯოს | საგარეჯოს |
| გალის — აბაშის | გალის |
| გუდაუთის — ცხაკაიას | გუდაუთის |
| ყაზბეგის — ლენინგორის | ლენინგორის |
| მცხეთის — ბოლნისის | ბოლნისის |
| გარდაბნის — წითელწყაროს | გარდაბნის |
| ამბროლაურის — საჩხერის | საჩხერის |
| ჩოხატაურის — ლანჩხუთის | ლანჩხუთის, ჩოხატაურის |
| ლენტეხის — ჩხოროწყუს | ჩხოროწყუს |
| გურჯაანის — მარნეულის | გურჯაანის |
| თელავის — ზესტაფონის | ზესტაფონის |
| ახალციხის — ქობულეთის | ქობულეთის |
| ხობის — სიღნაღის | ხობის |
| სოხუმის — ხელვაჩაურის | სოხუმის |
| ცაგერის — მაიაკოვსკის | მაიაკოვსკის, ცაგერის |
| წალენჯიხის — ლაგოდეხის | წალენჯიხის |
| ყვარლის — ახმეტის | ყვარლის |
| ადიგენის — ხულოს | ადიგენის |
| გულრიფშის — ქედის | ქედის, გულრიფშის |
| ქობულეთის — ქ. გაგრის ზონა | ქ. გაგრის ზონა |
| თერჯოლის — საჩხერის | საჩხერის |
| ვანის — წულუკიძის | ვანის |
| ქ. თბილისის ლენინის რაიონი — ქ. ქუთაისის ლენინის რაიონი | ქ. თბილისის ლენინის რაიონი |
| ქ. თბილისის გლდანის რაიონი — ქ. ქუთაისის ავტოქარხნის რაიონი | ქ. თბილისის გლდანის რაიონი |

ჯავისა და ონის, დმანისისა და დუშეთის, ზუგდიდისა და მახარაძის, თიანეთისა და წალკის, გორისა და ახალქალაქის, ცხინვალისა და წულუკიძის, ზნაურისა და ქარელის რაიონების სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი არ გამოვლინდნენ იმის გამო, რომ მათ ვერ შეასრულეს მეცხოველეობის ცალკეული პროდუქტების დამზადების გეგმები, შეანელეს მათი დამზადების ზრდის ტემპი 1981 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ვერ შეასრულეს კაპიტალური მშენებლობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ტრანსპორტისა და ვაჭრობის გეგმები, აგრეთვე დაარღვიეს ანგარიშგების ვადები.

აღინიშნა, რომ კარგად იმუშავეს აჭარის ასს რესპუბლიკების, ქალაქების ბათუმისა და ზუგდიდის, ქალაქ წყალტუბოს ზონის, აბაშის, ცხაკაიას, მცხეთის, ლენტეხის, ხელვაჩაურის, თერჯოლის რაიონების, ქალაქ ქუთაისის ლენინისა და ავტოქარხნის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც დადებითი შედეგები უზრუნველყვეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ცალკეული ძირითადი მაჩვენებლების შესრულებაში.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიებს დაევალათ გააანალიზონ სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და კვლავაც დიდი მნიშვნელობა მიანიჭონ შრომითი მეტოქეობის ერთობლივი შეჯამების პრაქტიკას, რომელიც ხელს უწყობს მოწინავე საწარმოო გამოცდილების გაზიარებას. წარმოების დამატებითი რეზერვების გამოვლენას.

ავტონომიური სს რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი გამოვლინდნენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრის ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების სპეციალური, ეგრეთ წოდებული ალგორითმით (წესი) დამუშავებული მასალების საფუძველზე, რის თანახმადაც შემუშავდა იმ გამსხვილებული შეფასებითი მაჩვენებლების სპეციალური სისტემა, რომლებიც ახასიათებენ ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის, სამრეწველო წარმოების მოცულობის და სხვათა ხვედრითი წილის ძირითად სპეციალიზაციას წონადობის კოეფიციენტების გამოყენებით.

ამჟამად რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისათვის მუშავდება საქმიანობის შეფასების ანალოგიური სისტემა, და 1982 წლის 9 თვის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრის ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებით შეჯამდება ამ სისტემის მიხედვით.

(საქინფორმი).

## 60 საიუბილეო ვახტზე

### საკავშირო ფონდში

ვანელი მშრომელები თავდადებით იბრძვიან და წარმატებებსაც აღწევენ სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ამჯერად თავი ისახელეს მეხილეებმა, მათი მეოხებით რაიონმა წარმატებით შეასრულა საკავშირო ფონდში კურკოვანი ხილის გადატვირთვის დავალება. გეგმიური 500 ტონის ნაცვლად საკავშირო ფონდში გადატვირთულია 500,5 ტონა ხილი.

ხილის დამზადება გრძელდება.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ვანის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ანდრიაძემ და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. დვალიშვილმა.

### იხაროს მისმა მარჯვენამ!..



ათვალიერებ ამ ფოტოსურათს და, ხარობ კაცი! პურის ახალი მოსავალი — ასე დაუსათაურებია იგი ავტორს — საქინფორმის ფოტოკორესპონდენტს ვ. მორგუნოვს. სათაური, თითქოსდა, ზუსტად გამოხატავს სათქმელის დედააზრს, მაგრამ... გინდა, გულით გწადია, რომ უკეთ, უფრო ლამაზად გადმოსცე ყოველივე, რაც ობიექტივმა ვერ „შეამჩნია"...

მოსულა ხორბლის ჩანჩქერი! მოსულა და შეჰხარის ახალმოსავალს გალაღებული სიცოცხლე,

ამ გაღიმებულმა ქალიშვილმა, ალბათ, იცის, რომ 1000 ტონაზე მეტი ხორბალია უკვე საგარეჯოს რაიონის პატარძეულის საბჭოთა მეურნეობის კალოზე.

ამ ოქროდმოდენილ ბარაქას იქით, უფრო მეტიც, თითოეულ მარცვალს უკან ხომ მაშვრალი მეურნე დგას, ის, ვინც გულდაგულ ებრძოდა წლევანდელ უამინდობას — სეტყვასა თუ წყალდიდობას, რათა გადაერჩინა და დროულ აეღო წლის მოსავალი.

იხაროს მისმა მარჯვენამ, ვინც გთესა, მოგიყვანაო! — რა კარგად უთქვამს სულმნათ წინაპარს!?..

### რაციონალიზატორთა წვლილი

ჭიათურა. (საკ. კორ). 225.563 მანეთს დაუზოგავს წლიურად წარმოებას ზ. ა. პატარიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს მამდიდრებელი ფაბრიკის გამგის ფ. აბრამიშვილის, მთავარი მექანიკოსის მოადგილის გ. ტყემალაძისა და უბნის მექანიკოსის თ. ჩუბინიძის მიერ დანერგილი რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც ითვალისწინებს დამლექი უბნის მოწყობას, ეს ღონისძიება მინუმამდე ამცირებს მანგანუმის დანაკარგებს და ზრდის მადნის გამოსავლიანობას.

წლის პირველ ნახევარში მაღაროთსამმართველოში დაინერგა აგრეთვე 21 რაცინალიზატორული წინადადება, რომელთა ეკონომიკური ეფექტი 160 ათას მანეთს აღემატება.

სამთო ინჟინრის ე. ტაბატაძის მიერ შექმნილია მექანიკური სამაგრის სამონტაჟო მანქანა. იგი გამოსაყენებლად მარტივია და დიდ შრომატევად სამუშაოს ასრულებს. რთული, მძიმე შრომისაგან გამოთავისუფლდნენ კვალიფიციური სამთოელები, რამაც წარმოებას 32.168 მანეთი დაუზოგა.

### ახალი ვალდებულება

ონი. (საკ. კორ.). ბარიტის მაღაროთსამმართველოს ლესორის სამთო საამქრო ერთ-ერთი დიდი საწარმოა რაიონში. მისი გვირაბები კავკასიონის მაღალ ალპურ მთებში, ზღვის დონიდან 2000 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობენ. მიწისქვეშა სანგრევებში დღედაღამ არ წყდება შემოქმედებითი შრომის რიტმი. აქაური მებარიტეები მაღალხარისხოვანი ნედლეულით ამარაგებენ რესპუბლიკის ქიმიურ ქარხნებს.

ლესორელებმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 33 ათასი ტონა ბარიტი ამოიღეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 ათასი ტონისა. მადნის მოპოვების ტემპი აქ კიდევ უფრო გაიზარდა ივლისში.

რიტმული შრომით გამოირჩევა ის კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ნოვატორი მებარიტე თ. აბრამიშვილი უდგას სათავეში. ამ ბრიგადამ წლის პირველ ნახევარში 2 ათასი ტონა ზეგეგმითი ბარიტი ამოიღო. ბრიგადის კოლექტივი დიდი აღმავლობით ემზადება სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის. მან ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრა და გადაწყვიტა ბარიტის მოპოვების წლიური გეგმა კონსტიტუციის დღის — 7 ოქტომბრისათვის შეასრულოს.

## გულითადი მილოცვა

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ა. ტიხონოვმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს კიმ ირ სენს და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერს ლი დენ ოკს.

დეპეშაში ნათქვამია:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად გილოცავთ თქვენ, კორეის შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო კომიტეტს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საბჭოს, მთელ კორეელ ხალხს კორეის განთავისუფლების 37-ე წლისთავს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელზე მოვიდა კიმ ირ სენის მისალოცი დეპეშა იაპონიის მილიტარიზმის კოლონიური ბატონობის უღლისაგან კორეელი ხალხის განთავისუფლების 37-ე წლისთავის გამო.

დეპეშაში ნათქვამია:

ორი ქვეყნის — კორეისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მყარი მეგობრობისა და თანამშრომლობის ტრადიციული ურთიერთობა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე შეიქმნა, განუწყვეტლივ მტკიცდებოდა და ვითარდებოდა კორეის განთავისუფლების შემდეგ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის საერთო ბრძოლის პროცესში.

კორეელი ხალხი სიხარულით აღნიშნავს ამას და დარწმუნებულია, რომ კვლავაც განვითარდება ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში. (საკდესი).

## ქვეყნად მშვიდობისათვის

ცალკე ბროშურად გამოიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების მეორე სპეციალური სესიისადმი. ბროშურა გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკდესი).

## „ვეფხისტყაოსანი" ყაბარდოულ და ბალყარულ ენებზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სკკპ ყაბარდო-ბალყარეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ტ. მალბახოვისაგან მოუვიდა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ყაბარდო-ბალყარეთის გამომცემლობა „ილბრუზმა" ყაბარდოულ და ბალყარულ ენებზე გამოსცა შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი". ეს დიდი მოვლენაა ავტონომიური რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში.

პოემა ბალყარულად თარგმნა პოეტმა სალიხ გურტუევმა. წიგნი გამოიცა ქართველი ხალხის დიდი მეგობრის, ყაბარდო-ბალყარეთის ცნობილი პოეტის ყაისინ ყულიევის რედაქტორობით.

ყაბარდოულ ენაზე პოემის თარგმანი განახორციელა პოეტმა, ყაბარდო-ბალყარეთის კომკავშირის პრემიის და ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკური პრემიის ლაურეატმა ზუბერ თხაგაზიტოვმა. წიგნი გამოვიდა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის მ. საკუროვის რედაქტორობით.




ორივე გამოცემა საუცხოოდ გააფორმა ყაბარდო-ბალყარეთის ცნობილმა მხატვარმა მ. კიპოვმა. (საქინფორმი).

## დღესასწაულის აღსანიშნავად



12 აგვისტოს საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა თბილისის საზოგადოებრიობისა და საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების აქტივისტთა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ინდოელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს — დამოუკიდებლობის დღეს და სსრ კავშირის და ინდოეთის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის მე-11 წლისთავს.

სხდომა გახსნა თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ჟვანიამ.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ო. გიგინეიშვილი.

სხდომის მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ინდოეთის რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს. (საქინფორმი).

ამა წლის დამდეგს დელიში გაიხსნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და კულტურის სახლი. მისი ხშირი სტუმრები არიან საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, პარლამენტის წევრები, იურისტები, ექიმები, მუშები, გლეხები, სტუდენტები და მოსწავლეები.

სურათზე: საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და კულტურის სახლის შესასვლელთან.

საკდესის ფოტო.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები

### წულუკიძის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის გზით" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად რაიონის შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 50 წელთან დაკავშირებით წულუკიძის რაიონული გაზეთი „კომუნიზმის გზით" დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 12 აგვისტო.

### ამხ. ვ. ი. კობახიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრს ამხ. ვლადიმერ ილიას ძე კობახიძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 12 აგვისტო.

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1982 წლის 12 აგვისტოს 61 წლისა უდროოდ გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ინოზემცევი.

| სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო |
| --- | --- | --- |

# საჰაერო საზღვრების სადარაჯოზე

ა. ს. გორიაინოვი,
ავიაციის გენერალ-მაიორი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ავიაციის სარდალი

საბჭოთა ხალხის აღმშენებლობითი შრომის საიმედო დარაჯია სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები, რომელთა განუყოფელ ნაწილად სამართლიანად მიიჩნევენ სამხედრო-საჰაერო ძალებს, რომელთა გმირული მატიანე სოციალისტური სახელმწიფოს შექმნასთან ერთად დაიწყო.

საბჭოთა ავიაციის შექმნა განუყრელად არის დაკავშირებული ვ. ი. ლენინის სახელთან. იგი პირადად ზრუნავდა იმისათვის, რომ ქვეყანაში უმოკლეს ვადებში შექმნილიყო საავიაციო მრეწველობა.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პროგრამის წარმატებით განხორციელებამ შესაძლებელი გახადა შექმნილიყო იმხანად მძლავრი ტექნიკური ბაზა ავიაციის შემდგომი განვითარებისათვის. ხალხის მასებიდან იშვნენ ნიჭიერი კონსტრუქტორები ა. ნ. ტუპოლევი, ნ. ნ. პოლიკარპოვი, დ. პ. გრიგოროვიჩი. მათი კონსტრუქციების თვითმფრინავებით მყარდება ფრენის სიშორის, ხანგრძლივობის, ტვირთამწეობის მსოფლიო რეკორდები.

საბჭოთა მფრინავებმა ომისწინა წლებში საბჭოური თვითმფრინავებით მოაწყვეს მთელი რიგი თვალსაჩინო გადაფრენები, ავიაციაში ბევრი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. ეს პერიოდი დაკავშირებულია ვ. ჩკალოვის, გ. ბაიდუკოვის, ა. ბელიაკოვის, პ. ოსიპენკოს, მ. გრომოვის, ი. ივამაშევის, ვ. გრიზოდუბოვას, მ. რასკოვას და სხვათა სახელებთან, რომელნიც საბჭოთა საჰაერო ფლოტს ავითარებდნენ.

ჩვენმა ავიაციამ უდიდესი წვლილი შეიტანა ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვებაში. ავიატორთა საბრძოლო მატიანეში ჩაწერილია ასობით ნათელი ფურცელი, ათასობით საგმირო საქმე. ხუთასზე მეტმა მფრინავმა ფაშისტებთან ბრძოლებში გამოიყენა საჰაერო ტარანი, დაახლოებით 350 ეკიპაჟმა გაიმეორა ნიკოლოზ გასტელოს უკვდავი გმირობა.

მეომარმა ავიატორებმა გამოავლინეს მაღალი საბრძოლო და მორალურ-პოლიტიკური თვისებები. იდეური მრწამსი, კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სამშობლოს ერთგულება, საბჭოთა პატრიოტიზმი, მხედრული მოვალეობის ერთგულება, მტრისადმი სიძულვილი სიმტკიცის, ვაჟკაცობის, გმირობის მძლავრი წყარო იყო.

სამშობლომ, კომუნისტურმა პარტიამ ღირსეულად დააფასეს ჰაერის მებრძოლთა გმირობა. ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის 200 ათასზე მეტი ავიატორი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით, 2420 მფრინავს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა განადგურებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამიერკავკასიელმა ავიატორებმაც. ჩვენი ოლქის მეტმა წილმა საავიაციო ნაწილებმა ომის მკაცრი გამოცდის სკოლა გაიარეს, გააფთრებულ საჰაერო შეტაკებებში არმიისა და ფლოტის მეომრებთან ერთიანი საბრძოლო მწყობრით სპობდნენ ჰიტლერელთა ავიაციას, გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდნენ მტერს.

სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო წითელდროშოვანმა გვარდიულმა საავიაციო პოლკმა. სრული ოთხი წელი არ გამოსულან ბრძოლიდან გვარდიელი ავიატორები და არაერთხელ უსახელებიათ პოლკის დროშა მტერზე ბრწყინვალე გამარჯვებებით სტალინგრადის ფრონტზე, კურსკის რკალზე, ხარკოვის, კიევის, სხვა ქალაქების განთავისუფლებისას.

საბრძოლო მოქმედების წლებში პოლკმა გაანადგურა მტრის 30 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 580 ტანკი, 1,5 ათასი ავტომანქანა, ასობით ქვემეხი და ბევრი სხვა ტექნიკა.

სამშობლომ დიდად დააფასა გვარდიელთა გმირობა. ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის პოლკის 12 მფრინავს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, დაახლოებით 100 მეომარი დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით, სულ კი მათ გადაეცათ 1000-ზე მეტი ჯილდო.

ავიატორები აქტიურად მონაწილეობდნენ კავკასიისათვის ბრძოლაშიც. ომისშემდგომ პერიოდში ავიაციის ისტორიის ახალი ერა აღნიშნა რეაქტიული ტექნიკის გაჩენამ. ოლქის საავიაციო ნაწილებისა და ქვეგანაყოფების პირადმა შემადგენლობამ გამოიჩინა დიდი სიმტკიცე პრინციპულად ახალი ტიპის თვითმფრინავების ათვისებაში. ომის წლებში საბჭოთა მფრინავების მიერ შეძენილი გამოცდილება დაეხმარა მათ ახალი რეაქტიული ტექნიკის სწრაფ ათვისებაში.

დღევანდელი მფრინავი ახალგაზრდობა აღჭურვილია უფროს თაობათა გამოცდილებით. გმირული წარსულის მაგალითებით ჰაერის მებრძოლებს უნერგავენ მფრინავთა მტკიცე ხასიათს, უტეხ ნებისყოფას, გაბედულებას, სიმამაცეს, გმირობას.

ჩვენი ოლქის ავიაციის საბრძოლო ბიოგრაფიაში ნათელი ფურცლები ჩაწერა ბევრმა მეომარმა-ავიატორმა. ერთ-ერთი გვარდიული ნაწილის აღზრდილები არიან ლ. კიზიმი და ი. მალიშევი — ახლანდელი კოსმონავტი მფრინავები, საბჭოთა კავშირის გმირები.

ამჟამად ოლქის საავიაციო ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში ფართოდ არის გაშლილი სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: „საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას — საიმედო დაცვა". იყვნენ მოწინავეთა შორის, პირნათლად მოიხადონ ვალი სამშობლოს წინაშე, მტკიცედ განახორციელონ სკკპ XXVI ყრილობის, სრულიად საკავშირო ალკკ XIX ყრილობის მოთხოვნები, განუხრელად შეასრულონ საბრძოლო მზადყოფნის შემდგომი განმტკიცების რეკომენდაციები, რომლებიც შეიმუშავა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივანთა VI სრულიად საარმიო თათბირმა, — ამით ხელმძღვანელობენ ახლა მეომარი ავიატორები, რომლებიც ახორციელებენ საიუბილეო წლის სოციალისტურ ვალდებულებებს.

ავიატორები, რომლებიც ავლენენ მაღალ საფრენოსნო ოსტატობას, შესანიშნავ მორალურ-პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ თვისებებს, წარმატებით წყვეტენ სასწავლო-საბრძოლო ამოცანებს.

სამშობლოს, საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულის, კომუნისტური პარტიის საქმის უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილი ავიატორები მუდამ მზად არიან სამშობლოს ინტერესების დასაცავად. ყოველდღიურ მხედრულ საქმეებში ისინი მტკიცედ ეუფლებიან სამხედრო საქმეს, ითვისებენ საავიაციო ტექნიკას, მის საბრძოლო გამოყენებას ყველანაირ მეტეოროლოგიურ პირობებში, დღისითაც და ღამითაც, სრულყოფენ საცეცხლე და ტექნიკურ ოსტატობას.

ასრულებს რა ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, ავიატორთა ბევრმა კოლექტივმა მიაღწია ახალ წარმატებებს სამხედრო წვრთნაში, საბრძოლო მზადყოფნის სრულყოფაში, მხედრული დისციპლინის განმტკიცებაში.

მეომარი ავიატორები ემზადებიან სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის და შთაგონებით, შემოქმედებითად შრომობენ, ძალ-ღონეს არ იშურებენ საბრძოლო მზადყოფნისა და სიფხიზლის შემდგომი ამაღლებისათვის, საბრძოლო ოსტატობის სრულყოფისათვის. სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების ღირსეული მემკვიდრენი ფხიზლად დგანან ჩვენი სამშობლოს მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე. (საქინფორმი).

# საზეიმო კრებები

## მოსკოვი

13 აგვისტოს გაიმართა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების და დედაქალაქის გარნიზონის მეომრების საზეიმო კრება, რომელიც სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს მიეძღვნა.

პრეზიდიუმში იყვნენ რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის მინისტრები პ. ს. პლეშაკოვი და ი. ს. სილაევი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ლ. სოკოლოვი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ი. დოლგოვი, სსრ კავშირის თავდაცვისა და სამოქალაქო ავიაციის მინისტრების მოადგილეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, თვალსაჩინო მხედართმთავრები, საბჭოთა ავიაციის ვეტერანები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კრებაზე გამოვიდა სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ავიაციის მთავარი მარშალი პ. ს. კუტახოვი.

კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. (საქდესი).

## თბილისი

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოეთთან ერთად ფართოდ აღნიშნავენ საყოველთაოსახალხო დღესასწაულს — სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს.

თბილისის ოფიცერთა სახლში დღესასწაულის აღსანიშნავად გაიმართა თბილისის მშრომელთა წარმომადგენლებისა და თბილისის გარნიზონის მეომრების საზეიმო კრება.

საზეიმო კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ჯ. რ. კუხალაშვილმა.

კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის შესახებ გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა, ავიაციის გენერალ-მაიორმა ა. ს. გორიაინოვმა.

საზეიმო კრებას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. რ. საჯაია, ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. შირინკინი, ოლქის შტაბის უფროსი — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი ვ. კ. კირილიუკი. (საქინფორმი).

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიის მორიგი სხდომა რამდენადმე უჩვეულოდ მზადდებოდა. კომისიის წევრები, სანამ განსახილველად გამოიტანდნენ საკითხს გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესრულების უზრუნველყოფისათვის რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მუშაობის შესახებ, რუსთავში იყვნენ. ქიმიურ ქარხანასა და ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში ისინი უშუალოდ გაეცნენ ცალკეული საამქროების — ატმოსფეროს გაჭუჭყიანების ძირითადი წყაროების ფუნქციონირებას, გაზსაწმენდი და მტვერდამჭერი დანადგარების გამოყენებას.

სწორედ ამ მოგზაურობის დროს შეკრებილმა კონკრეტულმა მასალამ განსაზღვრა კომისიის სხდომაზე გამართული საქმიანი სჯა-ბაასის შინაარსი. იგი საგნობრივი და პრინციპული იყო. აღინიშნა, კერძოდ, რომ რუსთავის ქიმიურ ქარხანაში გაზსაწმენდი მოწყობილობანი მოქმედებენ გაჭუჭყიანების 53 წყაროდან ოცში. ეს ქარხანა ყოველწლიურად ატმოსფეროში აფრქვევს ბევრ მავნე ნივთიერებებს. უკეთესად როდია საქმე ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში, საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის" საწარმოებში.

მიღებულ დადგენილებაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიამ ურჩია ქიმიური მრეწველობის საწარმოებს განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ კანონით გარემოს დაცვის შესახებ, განახორციელონ ღონისძიებანი, რათა თანამიმდევრულად აღმოფხვრან ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გამოფრქვევის მაქსიმალური შემცირების საქმეში ყველა არსებული ნაკლი. კერძოდ, მათ უნდა უზრუნველყონ გაზსაწმენდ ნაგებობათა და ჰაერის კონტროლის ტექნიკურ საშუალებათა ნორმალური მუშაობა, მათი სწორი ექსპლოატაცია, სისტემატურად აღრიცხონ მავნე გამონაფრქვევის რაოდენობა და შედგენილობა. გარემოს დაცვის გაძლიერების კონკრეტული რეკომენდაციები მიეცათ რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

კომისიის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება ოთხი წლის წინათ მიღებული ამ კომისიის დადგენილება „რესპუბლიკის სახელმწიფო ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობათა დაცვის მდგომარეობის შესახებ". მიიღო რა ცნობად იგი, კომისიამ ურჩია სამინისტროს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს კვლავაც განახორციელონ სახელმწიფო ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებანი, განუხრელად შეასრულონ ბუნების დაცვის შესახებ კანონისა და სახელმწიფო ნაკრძალების დებულების მოთხოვნები. (საქინფორმი).

*კონტროლზეა მკითხველთა წერილები*

# რედაქციას უპასუხებენ

● **თერჯოლის** რაიონის სოფელ ეწერში მცხოვრები რ. ფანჩულიძე რედაქციას სწერდა ქუთაისში საფიჩხიის მოედანზე არსებულ სამგზავრო ავტოვაგზლის ფილიალში მგზავრთა მომსახურების ცუდი პირობების თაობაზე.

ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ძოწენიძემ გვაცნობა, რომ:

**წერილში აღნიშნული ფაქტები სწორია. ავტოვაგზლის ფილიალი, საიდანაც გადის საგარეუბნო და გამვლელი საქალაქთაშორისო მარშრუტები, ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.**

**1978 წელს ამოქმედებული ქალაქის სამგზავრო საკვანძო ავტოვაგზალი, სადაც თავს იყრის რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქისა და რაიონის მარშრუტები, გამოირჩევა კულტურული მომსახურების მხრივაც. მაგრამ გარკვეული სიძნელეები შეიქმნა ქალაქის ახლომდებარე ზოგიერთი რაიონის (რაჭა-ლეჩხუმის, ზესტაფონის, თერჯოლისა და სხვ.) მიმართულებებით მგზავრთა გადაყვანის საქმეში, ვინაიდან მათ ემსახურება არა ძირითადი ავტოვაგზალი, არამედ ფილიალები.**

**პირობების გაუმჯობესების მიზნით, საფიჩხიის მოედანზე არსებული ავტოვაგზლის რეკონსტრუქცია შეუძლებელია ფართობის სიმცირის გამო. ამჟამად მიმდინარეობს ქალაქის გვერდის ამქცევი საავტომობილო ტრასის მშენებლობა, რომელიც თბილისის მიმართულებით განლაგებულ რაიონებს დააკავშირებს არა საფიჩხიის მოედანთან, არამედ ახალგაზრდობის პროსპექტთან, თერჯოლისა და ზესტაფონის მიმართულებით მიმავალი მგზავრებისათვის კეთილმოწყობილი ავტოსადგურის აგება გათვალისწინებული იქნება მშენებარე გზების დამთავრებასთან ერთად.**

● **მიმდინარე** წლის 10 ივნისს თბილის-კახეთის უბანზე სახალხო მატარებლები განრიგის დარღვევით მოძრაობდნენ. ამის შესახებ რედაქციას კრიტიკული წერილი გამოუგზავნა თელავის რაიონის სოფელ წინანდლის მცხოვრებმა ბ. ახალმოსულიშვილმა.

ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილემ ნ. ქარუმიძემ რედაქციას აცნობა:

**წერილში აღნიშნული ფაქტი სწორია. სახალხო მატარებლების დაგვიანებით მოძრაობა უბანზე ნახევრად ავტობლოკირების დაზიანებამ გამოიწვია. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების ხელმძღვანელობამ განიხილა ეს შემთხვევა და თბილისის კვანძის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის ელექტრომექანიკოსებს ირემაშვილსა და ლეკიშვილს, რომლებსაც უშუალოდ მიუძღვით ბრალი ამაში, საყვედური გამოუცხადა.**

● ●

# საზამთროს ქურდები და უნიათო დირექტორი

**მათზე,** საზამთროს ქურდებსა და ასევე უნიათო დირექტორის მოქმედებაზე უკვე იმსჯელა პარტიის საგარეჯოს რაიონული კომიტეტის ბიურომ და მკაცრადაც. თუ მაინც საგაზეთოდ ვხდით ამბავს, იმ მიზნით, იქნებ სხვებმა, საშოვარზე რომ უჭირავთ ნიადაგ თვალი, ჭკუა ისწავლონ.

კახეთში საზამთრო თითქმის მოლია, საგარეჯოში იგი ახლა შემოდის და დედაქალაქის მშრომელთათვის მის მიწოდებას საგარეჯოელები საპატიო მოვალეობად თვლიან.

ამიტომაც არის, რომ ახლა პარტიის რაიონული კომიტეტი, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილება, კონტროლის კომიტეტი პროფილაქტიკის მიზნით ხშირად აწყობენ ერთობლივ რეიდებს, რომ მოსავალი არ განიავდეს. დანაშაული კი მაინც ხდება. ივრის საბჭოთა მეურნეობიდან გაიტანეს 6.500 კილოგრამი საზამთრო. ამ ოპერაციის ინიციატორი გახლდათ პროფესიით პედაგოგი, პარტიის წევრი ვლადიმერ მინასოვი, რომელსაც მხარს უმშვენებდნენ ალისკარ ახმედ-ოღლი მირზალიევი და თეიმურაზ ჯავშანაშვილი.

დანაშაული თავიდან იყო დაშვებული, როცა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ა. სტეფანიშვილმა კერძო პირს ვ. მინასოვს 3,7 ჰექტარი საზოგადოებრივი მიწა მისცა, ისე რომ ბრძანებითაც არ გაუფორმებია და ამით მიწათსარგებლობის კანონი დაარღვია. არსებობს მხოლოდ ერთი უხეიროდ შედგენილი ხელშეკრულება, სადაც ნახსენები არ არის, რომ ვ. მინასოვს გაწეული შრომა ნატურით აუნაზღაურდებოდა, მან კი თვითნებურად მეურნეობას მხოლოდ 1200 კილოგრამი საზამთრო ჩააბარა, ხუთჯერ მეტი კი მიითვისა და სარეალიზაციოდ გზას გაუყენა, მაგრამ, როცა ეგონა ფონს გავედიო, სწორედ აქ მილიციის ოპერატიული ჯგუფი (შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი გ. ხიდეშელი) ქურდებს თავს წაადგა, საზამთრო ჩამოართვა და სახელმწიფოს ჩააბარა.

აი, აქ ისმება კითხვა — იცოდნენ თუ არა ამ ოპერაციის შესახებ საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებმა უწინარეს ყოვლისა დირექტორმა? ეს ძიების საქმეა. მაგრამ ერთი რამ ცხადია, საზამთროს კრეფას ხომ ესწრებოდნენ ა. სტეფანიშვილი და მეურნეობის აგრონომი გ. მამედოვი, რატომ მაშინვე არ იღონეს რამე დამამზადებელი პუნქტისათვის საზამთროს ჩასაბარებლად?

დირექტორის დანაშაული მარტო ამით არ ამოიწურება. საბჭოთა მეურნეობა სისტემატურად ვერ ასრულებს გეგმას და ნაკისრ ვალდებულებას. სუსტია შრომის დისციპლინა, შექმნილია სახელმწიფო ქონების დატაცების პირობები. მარტო შარშან დირექტორს ოთხჯერ დაედო პარტიული სასჯელი. პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ ა. სტეფანიშვილი მოხსნა თანამდებობიდან, მისი პარტიულობის საკითხი კი ძიების დამთავრების შემდეგ განიხილება. მეურნეობის მუშაობის ჩაშლაში ბრალი მიუძღვის აგრეთვე პარტიული ორგანიზაციის მდივანს ჰ. ილიასოვს, რომელსაც საყვედური გამოეცხადა. საზამთროს დამტაცებლები სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემულნი.

პ. გაბელია,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

14 აგვისტო

## საერთაშორისო ცხოვრება
## დედამიწის ზურგზე

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

**ფაქტები მოვლენები**

*განიარაღების კომიტეტში*

# აიკრძალოს ქიმიური იარაღი

**ჟენევა.** განიარაღების კომიტეტში კვლავ განიხილავენ საკითხს იმის შესახებ, თუ რაოდენ საშიშია ქიმიური იარაღი — ერთ-ერთი ყველაზე ბარბაროსული და საშიფათო იარაღი სამოქალაქო მოსახლეობისათვის. კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას საბჭოთა წარმომადგენელმა ვ. ლ. ისრაელიანმა აღნიშნა, რომ სულ უფრო იზრდება ქიმიური იარაღის მასირებული გამოყენების საფრთხე და თქვა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მის სრულ აკრძალვასა და ლიკვიდაციას. საბჭოთა კავშირმა, განაცხადა მან, ქიმიური იარაღის უსწრაფესი აკრძალვისადმი თავისი მისწრაფება დაადასტურა იმით, რომ წამოაყენა ძირითადი დებულებანი ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოების და დაგროვების აკრძალვის და მისი მოსპობის კონვენციის პროექტისა. დღეს ჩვენ ოფიციალურად ვაყენებთ ძირითად დებულებებს როგორც განიარაღების კომიტეტის, ისე ქიმიური იარაღის აკრძალვის საკითხებზე მისი სამუშაო ჯგუფის ოფიციალურ დოკუმენტად.

ამ დოკუმენტის არსი, განაგრძო საბჭოთა წარმომადგენელმა, ის არის, რომ მომავალი კონვენციის დებულებათა ენაზე ავამეტყველოთ სსრ კავშირის კონსტრუქციული მისწრაფება, რათა რაც შეიძლება მალე აიკრძალოს ქიმიური იარაღი და შეძლებისდაგვარად აღიკვეთოს დაბრკოლებები მის გზაზე.

ძირითად დებულებათა საბჭოთა პროექტი, რომლის მნიშვნელობა აღინიშნა თითქმის ყველა დელეგაციამ კომიტეტში, ცხადყოფს საბჭოთა კავშირის დაინტერესებას ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციის უსწრაფესი დადებით და მისი კეთილი ნების დადასტურებაა. ამასთანავე, აღნიშნა მან, ჩვენ მოველით, რომ კეთილ ნებას გამოიჩენს მეორე მხარეც, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია.

საბჭოთა წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის საქმის გაჭიანურების პოლიტიკისაგან განსხვავებით სსრ კავშირი წინადადებას იძლევა დაწესდეს ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციაზე მუშაობის დამთავრების სანიმუშო ვადები, და ამასთან მზად არის დათანხმდეს ყველასათვის მისაღებ ნებისმიერ გადაწყვეტილებას.

# მიუმხრობლობის მტკიცე კურსით

**15 აგვისტო ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეა**

**ოცდათხუთმეტი** წლის წინათ, ოთხი თვით ადრე, ვიდრე ინდოეთი კოლონიალიზმის უღელს მოიშორებდა, საბჭოთა კავშირმა ცნო ინდოეთის დროებითი მთავრობა, ხოლო 1947 წლის 15 აგვისტოს ქვეყანა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. 1947 წლის 13 აპრილს, როდესაც დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა ჩვენსა და ინდოეთს შორის, ჯავაჰარლალ ნერუმ განაცხადა: „ჩვენ გულწრფელად გვსურს განვავითაროთ საბჭოთა კავშირთან მეგობრული დამოკიდებულება, ვიმედოვნებთ, რომ ინდოეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობა ორივე ქვეყნისათვის ხელსაყრელი იქნება და ხელს შეუწყობს მსოფლიოში მშვიდობისა და პროგრესის საქმეს". დღეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ურთიერთობა განსხვავებული სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ბრწყინვალე მაგალითია.

ინდოეთის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, რომელიც მიმართულია მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად, ძირითადად საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მშვიდობისმოყვარე კურსს ეთანხმება და საწინდარია ამ ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობისა, რომელსაც კარგა ხანია საფუძველი ჩაეყარა. ეს კავშირურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის 1971 წლის 9 აგვისტოს ხელშეკრულებით, ხოლო 1980 წელს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დროს ხელმოწერილმა დოკუმენტებმა, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივმა დეკლარაციამ ფართო გზა გაუხსნა ჩვენი ქვეყნების ტრადიციულ მეგობრულ ურთიერთობას ეკონომიკის, კულტურისა და სხვა სფეროებში. გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის დახმარებით აგებული მეტალურგიული გიგანტები ბჰილაისა და ბოკაროში, მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნები რანჩში, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები კოიალში, ბარუნსა და მათხურში. თუ 1960 წელს საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის ვაჭრობის მოცულობა 800 მილიონ რუპიას არ აღემატებოდა, დღეს იგი 20 მილიარდს აჭარბებს. საბჭოთა კავშირის მიერ აშენებული ან მშენებარე სხვადასხვა სამრეწველო ობიექტის რიცხვი 70-ს აღემატება. საბჭოთა კავშირი ინდოეთს ეხმარება არა მარტო სამრეწველო ობიექტების მშენებლობაში, არამედ ეროვნული კადრების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მომზადებაშიც. 5 ათასზე მეტმა ინდოელმა სპეციალისტმა გაიარა სასწავლო კურსები და სტაჟირება ჩვენს ქვეყანაში.

ბოლო წლებში დიდად განვითარდა ორი ქვეყნის თანამშრომლობა მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში. საბჭოთა კავშირი ინდოეთს ეხმარება კოსმოსის ათვისებაში. ამის დამადასტურებელია 1981 წლის 20 ნოემბერს საბჭოთა კოსმოდრომიდან გაშვებული ინდური ხელოვნური თანამგზავრი „ბხასკარა-2".

ამა წლის თებერვალში ამერიკულ ჟურნალ „ნიუს ენდ უორლდ რიპორტის" კორესპონდენტთან საუბრისას ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ განაცხადა: „სსრ კავშირი ყოველთვის გვეხმარებოდა გაჭირვებაში, ყოველთვის მხარში გვედგა მძიმე წუთებში. როდესაც ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვექმნა მრეწველობა, მივმართეთ ამერიკისა და დასავლეთის ქვეყნებს. მათ გვიპასუხეს: ჩვენ მთავრობას არ ვეხმარებით, მხოლოდ კერძო პირებს ვეხმარებითო. საბჭოთა კავშირი დაგვეხმარა. მან შეგვიქმნა მეტალურგია.

იგივე მოხდა ნავთობის მოპოვების საქმეშიც. დასავლეთმა განგვიცხადა, ინდოეთში ნავთობი არ მოიპოვებაო, რუმინეთმა და საბჭოთა კავშირმა აღმოაჩინეს იგი".

1980 წელს ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის ხელისუფლების სათავეში ჩადგომამ ხელი შეუწყო დადებითი ტენდენციების გაძლიერებას საგარეო პოლიტიკაში, უფრო გააქტიურდა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის კონტაქტები. ინდოეთის მმართველმა წრეებმა დიდად შეაფასეს სკკპ XXVI ყრილობის საგარეოპოლიტიკური კურსი და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა მსოფლიოს პარლამენტებისა და ხალხებისადმი.



სურათზე: დელის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა.

რაც შეეხება ინდოეთის ურთიერთობას თავის მეზობელ და სხვა ქვეყნებთან, მთავრობის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის დაახლოების კურსი, რომლებიც ცდილობენ პაკისტანი გადააქციონ აზიაში თავიანთი სტრატეგიული გეგმების განსახორციელებელ პლაცდარმად. ამერიკელების მიერ პაკისტანისათვის ახალი თანამედროვე იარაღის მიწოდებას ინდოეთის მთავრობა თავისი ქვეყნისათვის უშუალო საფრთხედ თვლის. პაკისტანთან ურთიერთობა ინდოეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად რჩება. ინდოეთის მმართველი წრეების აზრით, ამას წინათ პაკისტანის პრეზიდენტის ზია-ულ-ჰაკის მიერ წამოყენებული წინადადება ინდოეთ-პაკისტანს შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ მხოლოდ პროპაგანდისტული აქციაა, რომლითაც სურთ შენიღბონ პაკისტანისათვის 3 მილიარდი დოლარის ახალი ამერიკული იარაღის მიწოდების ფაქტი.

ინდოეთ-ჩინეთის ურთიერთობა კვლავ დაძაბულია, რაც სასაზღვრო პრობლემებით აიხსნება.

მტკიცდება ინდოეთის ურთიერთობა ვიეტნამთან, კამპუჩიასა და ლაოსთან. ინდოეთს ვიეტნამის სახით პოტენციური მოკავშირე ჰყავს ჩინეთის ექსპანსიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე 1980 წელს ინდოეთის მიერ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის ცნობას.

როგორია ინდოეთის საშინაოპოლიტიკური მდგომარეობა? აღსანიშნავია, რომ მტკიცდება მმართველი პარტიის — ინდოეთის ეროვნული კონგრესისა და მისი ლიდერის — პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის პოზიციები, ინდირა განდი კვლავ ქვეყნის მმართველობის სათავეშია. ამ ხნის განმავლობაში მან შეძლო განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა მმართველობის ცენტრალურ ორგანოებში და თავის სასარგებლოდ შეეცვალა ძალთა თანაფარდობა შტატებში.

ბოლო ხანს ინდოეთში საკმაოდ გააქტიურდნენ მემარცხენე და დემოკრატიული ძალები. დღეს ინდოეთის კომუნისტურ პარტიასა და მმართველ პარტიას შორის არა მარტო საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკის საკითხებშიც გარკვეული შეხების წერტილები არსებობს. ორივე მხარე ცდილობს უფრო რეალურად შეაფასოს ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობანი.

ამა წლის მარტში გაიმართა ინდოეთის კომპარტიის ყრილობა, რომელმაც ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობისა და პოლიტიკური წრეების ყურადღება მიიპყრო. ყრილობამ დადებითად შეაფასა მთავრობის საგარეო-პოლიტიკური კურსი.

განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება პოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებამ ინდოეთის კომპარტიის XII ყრილობისადმი და მის მუშაობაში საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის ხელმძღვანელობით.

ათეული წლებია საბჭოთა კავშირი და ინდოეთი აქტიურად და დაუცხრომლად იღვწიან თავიანთი მეგობრული თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავებისათვის, ამ მიმართულებით ბევრი რამ არის მიღწეული, ყოველივე ეს ხდება სოციალურ-პოლიტიკური წყობილების განსხვავების მიუხედავად, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის ზუსტად დაცვის, ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის თავისებურებათა ურთიერთპატივისცემის პირობებში, ჩვენი ურთიერთობა მნიშვნელოვანწილად განამტკიცებს ორივე მხარის უშიშროებას. იგი ქმნის აზიის კონტინენტზე მშვიდობისა და სტაბილურობის დიდ ზონას.

ჯ. ჭიპაშვილი.

● ანგოლა

## სააგენტოს განცხადება

**ლუანდა. სამხრეთაფრიკელი საინტერვენციო ჯარები 200 კილომეტრზე შეიჭრნენ ანგოლის ტერიტორიაზე კუველაის დასახლებულ პუნქტამდე, ნათქვამია აქ გავრცელებულ ანგოლის საინფორმაციო სააგენტოს განცხადებაში.** ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებული ცნობით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტები აპირებენ აგრესია გაავრცელონ უილას პროვინციაზე.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მხედრიონის შეჭრა დაიწყო 19 ივლისს შანგონგისა და ონჟივის (კუნენის პროვინცია) დასახლებული პუნქტებიდან, რომლებიც რასისტებმა 1981 წლის 23 აგვისტოს დაიპყრეს. სამხრეთაფრიკელთა ავიაცია 8 აგვისტოს თავს დაესხა კუველაის დასახლებულ პუნქტს, ხოლო 4 აგვისტოს ჰაერიდან ცეცხლი დაუშინეს ანგოლის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ავტოკოლონას.

● ბელგია

## დანაშაულობათა გამოსაძიებლად

**ბრიუსელი. დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციამ გადაწყვიტა შეიქმნას მუდმივი საერთაშორისო იურიდიული კომისია, რომელიც გამოიძიებს ისრაელის მხედრიონის მიერ ლიბანში ჩადენილ დანაშაულობებს.** აქ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ კომისიას დაევალება მოამზადოს „თეთრი წიგნი" ლიბანში ისრაელის ინტერვენციის შესახებ.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ ისრაელის აგრესია აღმაშფოთებელი დარღვევაა საერთაშორისო სამართლის ნორმებისა, ნათქვამია დოკუმენტში. ეს არის ყოვლად უტიფარი გაბიაბრუება კეთილი ნების ადამიანებისა, რომლებიც განზე ვერ დარჩებიან და აღშფოთებულნი არიან ისრაელის ხელისუფალთა დანაშაულებრივი მოქმედებით.

● იაპონია

## „აკაჰატა" გმობს

**ტოკიო. გაზეთმა „აკაჰატამ" დაგმო ამერიკა-იაპონიის ერთობლივი სამხედრო-საზღვაო მანევრები იაპონიის ზღვაში.** ეს მანევრები, წერს გაზეთი, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრიობის პროტესტების მიუხედავად ეწყობა, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადგილობრივი მოსახლეობის უშიშროებას, აძლიერებს დაძაბულობას რეგიონში. „აკაჰატა" იაპონიის საზოგადოებრიობას მოუწოდებს ბრძოლა გააჩაღოს შორეულ აღმოსავლეთში იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მილიტარისტული მზადების წინააღმდეგ.

● პორტუგალია

## გადასინჯეს კონსტიტუცია

**ლისაბონი. ხანგრძლივი კამათის შემდეგ პორტუგალიის პარლამენტმა საბოლოოდ მოიწონა კონსტიტუციის შესწორებანი,** რომლებსაც ხმა მისცეს მემარჯვენე მმართველი პარტიების ბლოკის „დემოკრატიული ალიანსის", სოციალისტებისა და სოციალ-დემოკრატიული ყაიდის წვრილი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. წინააღმდეგ გაილაშქრეს კომუნისტმა დეპუტატებმა.

კონსტიტუციის ცვლილებანი ითვალისწინებს რევოლუციური საბჭოს გაუქმებას, რომელიც 1974 წლის აპრილში ფაშისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ დემოკრატიული კანონიერების დაცვის გარანტს წარმოადგენდა. არსებითად შეიზღუდა რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებანი. მას ჩამოერთვა მხედართმთავრების დამოუკიდებლად დანიშვნის და მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების უფლება. არმიის კონტროლი ევალება მინისტრთა საბჭოს. ახლანდელ ვითარებაში ეს იმას მოასწავებს, რომ მემარჯვენე მთავრობას შეუძლია შეიარაღებული ძალები გამოიყენოს როგორც რეპრესიული აპარატი მსხვილი კაპიტალის ინტერესების სასარგებლოდ.

# სენსაციური გამოაშკარავება

**სან-ფრანცისკო. ლოს-ანჯელოსის ხელისუფლებმა მიიღეს გადაწყვეტილება დაიწყონ 50-60-იანი წლების ცნობილი ამერიკელი კინომსახიობის მერილინ მონროს ტრაგიკული სიკვდილის გარემოებათა გამოძიება.** ლოს-ანჯელოსის ოლქის საბჭოს მიერ მოწონებულ რეზოლუციაში (ამ ოლქში შედის როგორც თვით ქალაქი, ისე მისი უახლოესი შემოგარენი, მათ შორის ჰოლივუდი) აღნიშნულია, რომ ეს გადაწყვიტეს უკანასკნელი ხნის იმ მონაცემების გამო, რომ მსახიობს თავი კი არ მოუკლავს, როგორც მისი სიკვდილის შემდეგ მთელი 20 წელი ფიქრობდნენ, არამედ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებმა მოკლეს.

პირველად ასეთი სენსაციური განცხადება გააკეთა გასულ კვირას ლოს-ანჯელოსის კერძო საგამომძიებლო სააგენტოს მეთაურმა მ. სპერილიომ. პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მან თქვა, რომ მერილინ მონრომ იცოდა კუბის რევოლუციის ხელმძღვანელის ფ. კასტროს მკვლელობის მიზნით ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეთქმულების ამბავი. როგორც კერძო დეტექტივმა განაცხადა, კინომსახიობი აპირებდა მოეწყო პრესკონფერენცია, რათა გამოეაშკარავებინა ამერიკის საჯაშუშო უწყების საზარელი გეგმა. მაგრამ ჟურნალისტებთან შეხვედრის წინა დღეს იგი მოკლეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებმა, რომლებმაც მომაკვდინებელი დოზით შეუშხაპუნეს ძილის წამალი.

მ. სპერილიოს მიერ გამოაშკარავებულმა ფაქტებმა გამოიწვია ის, რომ, როგორც ლოს-ანჯელოსის საოლქო პროკურორმა ჯ. ვან დე კამპმა განაცხადა, გამოძიება მ. მონროს საქმის გამო უკვე წარმოებს. მაგრამ მან აღნიშნა, რომ გამოძიება პრაქტიკულად „ნულიდან" უნდა დაიწყოს. „ყოფილ პროკურორს, — თქვა ჯ. ვან დე კამპმა, — არსებითად არ გაურჩევია საგულდაგულოდ მ. მონროს სიკვდილის გარემოებანი, და ამიტომ მონაცემებიც კი არ არის ამ საქმის შესახებ". „ახლა, — თქვა შემდეგ მან, — ჩვენ ვაანალიზებთ არა მარტო საგაზეთო ცნობებს, არამედ კინომსახიობის სიკვდილთან დაკავშირებულ ოქმებსაც".

ადრე ყოფილმა გამომძიებელმა ლ. გრენდისონმა აცნობა ჟურნალისტებს, რომ 20 წლის წინათ იგი აიძულეს ხელი მოეწერა მ. მონროს სიკვდილის შესახებ ოქმისათვის და რომ ნივთიერი მტკიცებულებანი, მათ შორის კინოვარსკვლავის დღიური, სადაც, როგორც ყველაფრიდან ჩანს, იყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მამხილებელი ჩანაწერი, გაქრა კაბინეტიდან მსახიობის სიკვდილიდან ორი დღის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაღესტნის მთებში—მეგობრობის ბილიკებით



# აკარო—ზეცის ნახევარკუნძული

### ნარკვევი

კავკასიის მდიდარი, დრამატიზმით აღსავსე ისტორიის ორგანული ნაწილია საქართველოსა და დაღესტნის ურთიერთობა, რომელიც შორეულ საუკუნეებში იღებს სათავეს. დროთა განმავლობაში მისი ხასიათი იცვლებოდა, მშვიდობიანი, ძმური მეზობლობა შფოთიან, მტრულ დამოკიდებულებადაც ქცეულა, მაგრამ ყველაზე მძიმე დროსაც კი ორივე ქვეყნის ჭეშმარიტ შვილთა გულებში არასოდეს ამოფხვრილა ქართველთა და ლეკთა ძმობის ძველისძველი, ნათელი რწმენა.

მრავალი ნივთიერი, წერილობითი და სიტყვიერი საბუთი მეტყველებს საქართველო-დაღესტნის ისტორიულ ურთიერთობაზე ეკონომიკის, კულტურის, პოლიტიკის სფეროში.

ავიღოთ თუნდაც „ჟამთააღმწერლის“ ერთი ცნობა: „ხოლო ამავე ჟამთა ბრწყინვიდა პიმენ სალოსი, რომელი გარესჯით წამოვიდა და დაემკვიდრა ბელაქანს, ქუაბსა რასმე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰგიან სარწმუნოებასა ქრისტესა. ამას თანა ბრწყინვიდა დიდიცა იგი მოღუაწე ანტონი ნაოხრებელის ძე, ნათესავით მესხი“.

პიმენი და ანტონი XIII საუკუნის მეორე ნახევრის, დიმიტრი თავდადებულის დროინდელი მოღვაწეები იყვნენ. იმ დროს მთელი აღმოსავლეთი საქართველო მონღოლებს ეპყრათ. ამის გამო საქართველოს არ შეეძლო თავისი ქრისტიანული სარწმუნოება სამხედრო ძალაზე დაყრდნობით, იძულებით გავრცელებინა. ასე რომ, პიმენ სალოსის — ლეკთა განმანათლებლისა და მისი თანამოღვაწის — ანტონ მესხის წარმატებული მოღვაწეობა განპირობებული იყო ამ წმინდა მამათა პირადი ღირსებებით და, რაც მთავარია, ქრისტიანობისადმი თვით ლეკთა მისწრაფებით.

ასევე მნიშვნელოვანია XIV საუკუნის ერთ-ერთ წყაროში დაცული ცნობა, რომლის თანახმად ხუნძახში ლუნძელი კათალიკოსი ოქროპირი იჯდა.

ხუნძახი ავარიის ისტორიული ცენტრია, ლუნძელი ნიშნავს ავარიელს.

ავარია მთელი დაღესტნის ბირთვს შეადგენს, მას სხვა შემადგენელ ნაწილებზე მეტი ტერიტორია უჭირავს ქვეყნის შუაგულში. თვით ავარიელები დაღესტნის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია, თუმცა მათი რაოდენობა ნახევარ მილიონსაც ვერ აღწევს.

დაღესტანი მეტად მრავალეროვანი და მრავალენოვანი ქვეყანაა. აქ ოცდაათამდე ენასა და სამოცდაათამდე დიალექტს ითვლიან. ამის გამო თვითონ დაღესტნელები ხუმრობენ: ჩვენში რამდენი სოფელიც არის, იმდენი ენააო. ენათა ასეთ სიუხვეზე ლეგენდაც კი აქვთ შეთხზული — როდესაც ღმერთი ხალხებს ენებს ურიგებდა, ჩვენს კლდოვან მთებში მამაზეციერმა ქვას წამოჰკრა ფეხი და რაც ენები ჰქონდა, სუყველა დაღესტანში დაებნაო.

დაღესტნურ ენათა მეცნიერულ შესწავლაში დიდი წვლილი შეაქვთ ქართველ ენათმეცნიერებს აკადემიკოს არნ. ჩიქობავას მეთაურობით.

საქართველო-დაღესტნის ისტორიულ ურთიერთობას წარმატებით სწავლობდნენ და სწავლობენ როგორც დაღესტნელი მეცნიერები (რ. მაგომედოვი, ხ. ხაშაევი, შ. მიკაილოვი, მ. გასანოვი და სხვ.), ასევე ქართველი ისტორიკოსები (ნ. ბერძენიშვილი, მ. დუმბაძე, დ. მეგრელაძე, თ. ბოცვაძე, ვ. გამრეკელი და სხვ). ჯერჯერობით უკეთ არის შესწავლილი ამ ურთიერთობის გვიანდელი — XV-XVIII საუკუნეების პერიოდი, ნაკლებად — უფრო ადრინდელი ხანა. მაგრამ ბოლო დროს ამ ადრინდელი ხანის შესწავლასაც მეტი ყურადღება დაეთმო. რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ცენტრისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაღესტნის ფილიალის გამზათ წადასას სახელობის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია. მისი ხელმძღვანელობა დაევალა გ. ლამბაშიძეს, ხელმძღვანელის მოადგილეობა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს დ. მაგომედოვს. დანიელ მაგომედოვი ექსპედიციის ნამდვილი სული და გულია. დიდი გატაცებით ეკიდება საქმეს, უაღრესად გულისხმიერი, თავაზიანი, ამასთან პრინციპული ადამიანი და ნიჭიერი ისტორიკოსია. ძნელი წარმოსადგენიც კია უმისოდ ამ ექსპედიციის მუშაობა.

ასევე მთიელი კაცის საუკეთესო თვისებების განსახიერებაა ექსპედიციის შოფერი, ახალგაზრდა დარგოელი ჰაჯი.

...მახაჩყალა გაშენებულია იმ ადგილას, სადაც 1722 წელს პეტრე პირველი რუსეთის ფლოტით მიადგა ნაპირს. 1920 წლამდე მას პეტროვსკ-პორტი ერქვა. ქალაქს მშვენიერი პლაჟი აქვს, კასპიის ზღვა იქ სუფთაა. დიდი, თანამედროვე სახლები მხოლოდ ახლა შენდება ქალაქში. ვნახეთ სულ ახალი, ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის, მრავალსართულიანი შენობა. ქალაქის ცენტრში თეატრის ახალ შენობას აგებდნენ ქართველი ხუროთმოძღვრების პროექტით. რკინიგზის სადგურის ახალი, მოხდენილი შენობა საზღვაო პორტის გვერდით აუგიათ, რკინიგზა ზედ კასპიის ზღვის პირას გადის.

ისტორიულ მუზეუმში ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმო იყო თეთრი თლილი ქვის ჯვრის ნახვა, რომელზეც XIV საუკუნის ქართულ-ავარიული წარწერაა ამოკვეთილი. აკადემიკოს არნ. ჩიქობავას დასკვნით, ეს არის უძველესი წერილობითი საბუთი ავარიულ ენაზე და იგი ქართული ანბანით არის დაწერილი. ცნობილია, რომ დაღესტანში ბევრი ქართული წარწერაა შემორჩენილი. მარტო ავარიაში ოცამდე ქართული წარწერაა, ვკითხულობთ მეოთხე კლასის დაღესტნელ მოსწავლეთათვის განკუთვნილ ისტორიის წიგნში. ავარიაში საქართველოდან გავრცელდა ქრისტიანობა და ქართული დამწერლობაო, ესეც იმავე წიგნში წერია. ანწუხის, წახურის, გენუხის, დათუნას ეკლესიები, ქრისტიანული სამარხები ხუნძახსა და ურადაში, ქვის ჯვრების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებზეც ქართული და ქართულ-ავარიული წარწერებია, ადასტურებს დაღესტანში ქრისტიანობის საკმაოდ ფართოდ გავრცელებას და ავარიული დამწერლობის შექმნის ცდებს ქართული დამწერლობის საფუძველზე — ეს კი საბჭოთა ისტორიული ენციკლოპედიიდანაა.

საერთოდ, ბოლო ოციოდე წლიწადში ქართულ ისტორიოგრაფიაში დაგროვდა დიდძალი პირველხარისხოვანი გამოკვლევა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, ჩვენი საისტორიო მეცნიერების მიღწევები მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის არის ცნობილი. ნათქვამის საილუსტრაციოდ, ვფიქრობ, აქ მოყვანილი დაღესტნის სასკოლო ისტორიის წიგნის მაგალითიც კმარა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ მახაჩყალას. იმავე ისტორიულ მუზეუმში სიამაყით გვიჩვენეს დაღესტნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მრავალწლიანი ბრძოლის მეთაურის — შამილის ბრძოლების ამსახველი დარბაზი.

აი ხელოვნების მუზეუმიც! აქ საკმაოდ საინტერესო ფერწერული ტილოებია XIX-XX სს. რუსული და უფრო ძველი დასავლეთ ევროპული მხატვრობისა, მაგრამ მუზეუმის სიამაყე თვით დაღესტნის ხალხთა გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებია. რას არ ნახავთ: განთქმულ ლეკურ ხმლებსა და ხანჯლებს, თოფებსა და დამბაჩებს, აბჯარს და ყოველგვარ საჭურველს, ნაბდებს, ნაირნაირ სამოსელს, ულამაზეს ხალიჩებს, ფარდაგებს, თიხის, ხის, სპილენძის, ვერცხლის ერთიმეორეზე მოხდენილ ჭურჭელს, ოქრო-ვერცხლის სამკაულებს ხომ თვალს ვერ მოწყვეტთ. და ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ დაღესტნის ხალხთა მაღალი ხელოვნება დღესაც ცოცხლობს და ვითარდება. სამხატვრო ფაკულტეტის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა-მუზეუმი ამის უტყუარი დასტურია. ქალაქში არის ლენინის, კიროვის, დაღესტნის სახალხო პოეტების ს. სტალსკის და გ. წადასას ძეგლები, ძეგლი რევოლუციონერ მახაჩ დახაევისა, რომლის სახელსაც ქალაქი ატარებს.

ერთ დღეს მახაჩყალიდან სამხრეთით, დარუბანდის გზით გავემგზავრეთ. ოცდაათიოდე კილომეტრი გავიარეთ და მივადექით დაღესტნის არქეოლოგიური ექსპედიციის კარვებს. გულთბილად მიგვიღეს ექსპედიციის ხელმძღვანელმა ომარ დაუდოვმა და მეცნიერ მუშაკმა ალი აბაკაროვმა. დაგვათვალიერებინეს გათხრები. პირველ რიგში თვალში მოგვხვდა სისუფთავე და წესრიგი ობიექტებზე. იქ, სოფელ აჩი-სუს მახლობლად აღმოჩნდა გვიანი ბრინჯაოს ხანის ნასახლარი, იგი ადგილობრივ, ე. წ. ყაიაკენტ-ხოროჩოის (ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ). კულტურას განეკუთვნება.

...ომარ დაუდოვმა და ალი აბაკაროვმა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით წარმოთქვეს საქართველოს, ქართველი ერის სადღეგრძელო და განსაკუთრებით აღნიშნეს, ჩვენ, დაღესტნელებს არავისთან არა გვაქვს იმდენი საერთო, ისეთი სულიერი ნათესაობა, როგორც ჩვენს ქართველ ძმებთანო.

დანიელ მაგომედოვმა, ეთნოგრაფი მამაიხან აღლაროვი გაგვაცნო. მან თავიანთი ინსტიტუტის შრომების რამდენიმე კრებული გვისახსოვრა. ერთ მათგანში მისი გამოკვლევა აღმოჩნდა. იგი ტერასულ მიწათმოქმედებას შეეხება და შესანიშნავი, მეცნიერულად დასაბუთებული ნაშრომია. მასში ავტორი სამართლიანად დაასკვნის, რომ დაღესტანი უძველესი დროიდან არის ტერასული მიწათმოქმედების ერთ-ერთი ძირითადი კერა მთელ მსოფლიოში და მეურნეობის ამ სისტემამ უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის ეკონომიკასა და სოციალურ ისტორიაში. როცა საკუთარი თვალით ვიხილე, რომ დაღესტნის ხეობებში ყოველი მტკაველი, ყოველი გოჯი მიწა ტერასებს უჭირავს, მაშინ საბოლოოდ ვირწმუნე მ. აღლაროვის დასკვნების სისწორე.

...მახაჩყალიდან მთებში ორასიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ ავვაკეთ. თვალწინ გადაგვეშალა მზით გამთბარი ვრცელი ზეგანი, ვაკეზე პურისა და ქერის ყანები იყო, ფერდობებზე — ცხვრის ფარები. მოშორებით, უფსკრულს გაღმიდან, მოზრდილი მთა დაჩერებია ხუნძახს. მთაზე სატელევიზიო ანძაა. თვითონ ხუნძახი ზედ იმ უფსკრულის პირას ერთსართულიანი თიხისფერი ქვის სახლებით ნაგები პატარა დაბაა, ამჟამად შვიდასამდე კომლი ცხოვრობს იქ, თუმცა რაიონული ცენტრია. ვიწრო, დაკლაკნილი ქუჩები, დაბალი სახლები, ქუჩებისაკენ ყრუ კედლებით მოქცეული და მკვიდრად ნაგები გალავნები მიუჩვეველ თვალს ეხამუშება, მაგრამ აი, შეხვალ ხუნძახელის ეზოში და ნამდვილ წალკოტში მოხვდები. ნაირნაირი ყვავილებით, დახუნძლული ხეხილით ეგებება სტუმარს ეზო.

მთელ ხუნძახში ექსპედიციის წევრებს ღვიძლი ძმებივით გვხვდებოდნენ. თავაზიანი ყურადღებით გვეპყრობოდნენ ადგილობრივი მასწავლებლები, მათ შორის მახაჩ ატაევი და ალიბეკ კაზანბიევი. მ. ატაევი ხნიერია, მაგრამ ჭაბუკურად, მხნედ გამოიყურება, მას თბილისის უნივერსიტეტი დაუმთავრებია და ამით ამაყობს. ალ. კაზანბიევი უფრო ახალგაზრდაა, თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტია. ყველაზე მეტად კი ზუბაირის მასპინძლობამ მოგვხიბლა, იგი ვაჭრობის დარგის ხელმძღვანელი მუშაკია და არქეოლოგთა საქმიანობით მისმა დაინტერესებამ მეტად გაგვახარა.

მუშახელის შოვნა მაინც გაგვიჭირდა. შემოდგომა იყო, მარცვლეულს მკიდნენ, ბალახს თიბავდნენ, ხილს კრეფდნენ. ჩქარობდნენ, მთის მკაცრი ზამთრისათვის ემზადებოდნენ. მწყემსები ხომ დღედაღამ ცხვარ-ძროხას უვლიდნენ... ასეთ დროს ვის ეცალა არქეოლოგიური გათხრებისათვის. ცოტა ადრე, აგვისტოში ჩამოსულიყავითო, ყველა ამას ამბობდა. და მაინც მოახერხეს ჩვენთვის მუშების გამოყოფა. ადგილობრივი საშუალო სკოლის მეცხრეკლასელები ვაშლის საკრეფად ჰყავდათ გაყვანილი, ადგნენ და, ოცამდე ბიჭი მოგვაშველეს. ახლა აღარ გვიჭირდა.

ხუნძახს რომ სამხრეთიდან მთა დაჰყურებდა, აი იმ მთის თხემზე უნდა გვემუშავა. ამ ადგილს აკაროს ვეძახითო. მშვენიერი რამ არის ეს აკარო. ზეცის ნახევარკუნძული — ასე შეიძლება ეწოდოს მას. როგორც ნახევარკუნძული სამი მხრივ ზღვაშია შეჭრილი, ისე აკაროც სამი მხრივ ზეცაში კიდია, ისეთი ფრიალო, კლდოვანი ფერდობები აქვს.

განსაკუთრებით ლამაზია სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმართული გუნიბის უნაგირა მთა და სამხრეთით — კავკასიონის მთავარი ქედის ცადატყორცნილი მწვერვალები. იმ მთებს იქით საქართველოა, კახეთი. ჩრდილოეთით, ქვემოთ, თეთრ ლაქად მოჩანს კლდის პირას ხუნძახი და მის შორი-ახლო სოფლები არანი, წადა, ბატლაიჩი... წადა ერთი პატარა, მგონი, ორმოცდაათკომლიანი სოფელია ხუნძახიდან სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. იგი იმ შემაღლების ძირში მიყუჟულა, რომელიც ხუნძახის ზეგანის „მეორე სართულს“ ქმნის. ამ პატარა სოფელს საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი დაღესტნის სახალხო პოეტებმა, მამა-შვილმა გამზათ წადასამ და რასულ გამზათოვმა. გამზათ წადასას მეორე ვაჟიშვილი, პროფესორი ჰაჯი გამზათოვი ამჟამად მამამისის სახელობის ინსტიტუტის დირექტორია. იგი დიდად უწყობს ხელს ქართულ-დაღესტნური არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობას და ჭეშმარიტად იღვწის ჩვენი ქვეყნების მეცნიერული თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

აკაროს სამხრეთით, ძირს მოჩანს მდინარე ავარიის ყოისუს ძალიან ღრმა ხეობა, აყვავებული სოფლებითა და აუცილებელი ტერასებით. აქ კი, ამ სიმაღლეზე არწივები დალივლივებენ ცის ლაჟვარდში, დიდებული სანახავია არწივთა ეს უშფოთველი ფრენა.

ჩვენი ჭაბუკები ხალისიანად მუშაობდნენ, ცოცხალი, მკვირცხლი, მხიარული ბიჭები აღმოჩნდნენ. ყველას მუჰამედი, ალი, ომარი, გამზათი ან მისთანა სახელი ჰქვია, მაგრამ ეს ბიჭები ჩვენი გიორგის, დავითის, ვახტანგის, შოთას გვერდით რომ დააყენო, კაციშვილი ვერ გაარჩევს ვინ ლეკია და ვინ ქართველი.

დროდადრო ისინი ერთმანეთში რაღაცას ხუმრობენ, ვაყურადებთ, თითქოს გვესმის სიტყვები, ისე ჰგავს ქართულს, მაგრამ არა, ვერაფერს ვგებულობთ, ბიჭები კი გულიანად იცინიან. მერე ერთი წამოიძახებს, ჩივაძეო და მაშინვე სხვები აჰყვებიან — შენგელია, ყიფიანი, გუცაევი, ხიზანიშვილი და ასე აგრძელებენ... დანიელი გვიხსნის, მთელი დაღესტანი თბილისის „დინამოს“ გულშემატკივარია და რა გასაკვირიაო.

აჰა, ნანატრი დღეც დადგა!

ერთბაშად ათამდე ქართული და ქართულ-ავარიული წარწერა აღმოჩნდა აკაროზე!

ჯერ ერთმა ბიჭმა გამოგვიწოდა თლილი ქვის ნატეხი და ყველას სიხარულისაგან ლამის ენა ჩაგვივარდა. პირველი ნაპოვნის სიხარულს არც გაევლო, რომ დავახარე და... ისევ წარწერიანი ქვაჯვრის ნამტვრევი!

ყველა ქვის ჯვარი საგანგებოდ, ძალით იყო დამსხვრეული. მათი უმეტესობა ერთ ადგილას, ჩრდილოეთის კედლის ძირში, შენობის გარეთ ეყარა. აშკარა იყო, მტერს დაუნდობლად გაენადგურებინა აკარო.

გავიხსენეთ, რომ განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო დაღესტანში აღმოსავლური ურდოების 1395-96 წლების შემოსევა. უთუოდ აკაროცა და ეს ჯვრებიც მაშინდელი განადგურებული იქნებაო, ვამბობდით ყველა. ეტყობა, იმავე შემოსევამ იმსხვერპლა ის სოფელიც, რომელიც ახლანდელი წადას ადგილას ყოფილა. როგორც ენათმეცნიერი კ. მიკაილოვი ამტკიცებს, წადა ნახანძრალს ნიშნავს ანუ სოფელს, რომელიც ძველის, გადამწვარის ადგილას აუშენებიათო.

მალე ექსპედიციის ყველაზე ახალგაზრდა წევრმა, მომავალმა არქიტექტორმა ი. ვაჩეიშვილმა პირველმა მიაგნო შენობის აფსიდას და საბოლოოდ ყველა დარწმუნდა, რომ ნამდვილად ეკლესიის ნანგრევებზე ვიდექით. ეკლესია საკმაოდ დიდი ზომის ყოფილა, მისი ფართობი, თუ არ ვცდები, 130 კვადრატულ მეტრს აღწევდა და იგი ძვირფასი, ლურჯად მოჭიქული კრამიტით ჰქონიათ გადახურული.

იქნებ სწორედ იქ იჯდა ლუნძელი კათალიკოსი ოქროპირი?

ერთ დღეს სოფელი დათუნა და დათუნას ეკლესია დავათვალიერეთ. ეს კახური ღვინისფერი ქვით ნაგები პირქუში კლდეებით გარშემორტყმული ბაზილიკა თავმომწონედ დგას. პატარა მდინარე ჩხრიალით უვლის გარს ეკლესიას. ქართველი კაცი, სახელად დათუნა, მოსულა აქ ძალიან დიდი ხნის წინათ და ეს ეკლესია აუშენებიაო, გვეტყვიან იქაურები. ეკლესია მართლაც ძველია, იგი IX საუკუნეშია აგებული. ასე რომ, ამ ძეგლით ქრისტიანობა დაღესტანში პიმენ სალოსამდე მთელი ოთხი საუკუნით ადრეა დადასტურებული.

ერთი იქაური სოფლის, ტიდიპის საშუალო სკოლაში გვიჩვენეს ძველი ხის კარი, წნული ქართული ჩუქურთმითა და ჯვრებით შემკული.

მეორე დღეს ისევ აკაროზე განვაგრძეთ მუშაობა...

ვინ იცის, გარდასულ საუკუნეთა კიდევ რამდენ საიდუმლოს ინახავს ზეცის ნახევარკუნძული — აკარო?

...გამომგზავრების დღეც დადგა. დავემშვიდობეთ კეთილ მასპინძლებს და გამოვწიეთ. მთები თანდათან დაბლდებოდა, და აი, ბოლოს კასპიისპირა დაბლობსაც მივატანეთ. იქ კი იმდენი ზვრებია, თავი ალაზნის ველზე გეგონება.

მოვდიოდით დაღესტნიდან და გულში ვიმეორებდით: რა ბრძნული ნათქვამია — რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია!

**ზ. რატიანი,**
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

● ●







სურათებზე: ზემოთ — დერბენტის VI საუკუნის ცნობილი ციხე; ქვემოთ მარცხნივ — თანამედროვე უნცუკულელი ოსტატების ხის ნამუშევრები; ქვემოთ მარჯვნივ — XIX საუკუნის კუბაჩელი ოსტატების ნახელავი სამკაულები.

---

## ჯანსუღ ჩარკვიანი

### ვაჟა

ჭირიმე ვაჟავ, შენი თქმის,
ღვთიშვილივით რო აღზევდა,
გინახავს ირმის ქეიფი,
ნავარდი იალაღზედა.
ბეჭს მამჩნევია ურძანი
შენი ნახნლეტი ნერვისა,
შენი მამულის კურცხალი
მხარზე შვილივით შემისვამს.

ყველაად კაი კაცი ხარ,
ნაკენში ჩაიქარგები,
შენ შეხსენ ვეფხის ქავ-ციხა
ნაზოვრის წყალში ნაგები.

ჭირიმე ვაჟავ, შენი თქმის,
ღვთიშვილივით რო აღზევდა,
გინახავს ირმის ქეიფი,
ნავარდი იალაღზედა.

მე შენი ხატის მსახური,
ანუ, მე შენი დასტური,
შენი ქედით მაქვს დახნული
ჩემი ზვრის ალადასტური.

მეც შენებრ გავუგულადდი
ჟამს, დურდოს, სისხლი-
წუურვილას,
მეც შენებრ ხარი კურატი,
სამსხვერპლოდ შეწირული ვარ.

ჭირიმე ვაჟავ, შენი თქმის,
ღვთიშვილივით რო აღზევდა,
გინახავს ირმის ქეიფი,
ნავარდი იალაღზედა.

### არხილოს კალოზე დაწერილი ლექსი

დიდო, პატარავ,
კაცო და ქალო,
გინახავს კალო?!
არხილოს კალო.
შედარებისა
თუ ღმერთი გწყალობს,
ჩახჩახა მზეს გავს
გალეწილი კალო.
ქართულო ზეცავ,
მიწავ და წყალო,
დასაბამიდან
ორი მზე გწყალობს.
ერთი ორთავე
სიცოცხლის წყარო,
ჩახჩახა მზე და
გალეწილი კალო.

მზისფერი მწყერი
თავთუხში გალობს.
გალობა წალმა
დამყვება კალოს.
დიდო, პატარავ,
კაცო და ქალო,
ჩახჩახა კალო,
მზის ტყუპისცალო.

### წვიმის წვეთი

მიმყვება მავთულს წვეთი,
პატარა წვეთი წვიმის,
ღრუბლის მაღალი ხვედი
გულამოსკვნილი ტირის.

მიმყვება მავთულს წვეთი,
უჭირს, მიმყვება მაინც,
რა დარჩა, წამი ერთი,
სულ რაღაც ერთი წამი.

ნუ გეშინია, ვიცი,
ვიცი ბოლომდე გახვალ,
როგორც სიცილი სიცილს,
შენც იმ პირველ წვეთს გავხარ.

აი, გიმზერ და ვითვლი —
არც არაფერი დაგრჩა,
თითქმის მიხვედი, თითქმის,
მავთულის ბოლო არ ჩანს.

იღბალი შენი ცალის
შენს ბედს საკმეველს უკმევს,
წამი მსწრობელი წამის
და გახული ხარ უკვე.
მე მარტო ვზივარ ჩემთვის,
მიმყვება მავთულს წვეთი...
ცხრაასოთხმოცდა ერთის
ცხრა იანვარი,
წყნეთი.

### აქილევსის ქუსლი

უამრავმა დაიჯერა
თვისი ზეციურობა,
მეცხრე ცაზე დაფრინავდნენ,
მიწურს არა სწყალობდნენ...
ბოლოს მიხვდნენ,
ყველაფერი იყო თურმე
ხუმრობა —
დაუბრუნდნენ დედამიწას
და სიარულს სწავლობენ.

### მონატრებული ლეჩხუმი

ძველმა გრიგალმა
დღეს მომიხვეტა,
რასაც ვეძებდი,
რასაც ვნატრობდი,
ვეჯახებოდი
უმბას და მხელდას —
აღთქმულ ქვეყნისკენ
მივისწრაფოდი.

მესიზმრებოდა
ჩემი ხურმუში,
(იქ იწყებოდა
დიდი... რუსთველი...)
როცა ხურმუში
იჯდა ბურუსში
ლამაზი, ენით
გამოუთქმელი.

მე ჩემს ლაჭანურს
და ჩემს ცხენისწყალს,
რითმით ვუქსოვდი
ძვირფას ფარდაგებს,
მაგრამ რამდენი
სიტყვა შემირცხვა —
ლეჩხუმის ცას ვერ
მივასადაგე.

ვერ გავუწყვიტე
ლურჯი ფაცერი,
ვერ მივაწვდინე
აზრი გულამდე,
ახლა ზამთრიდან
როცა გავცქერი —
რა შორი გზაა
გაზაფხულამდე.
ახე ეძებენ
დაკარგულ ხატრფოს,
ჩემო სამზეო,
ხაიადონო,
ჩაგისუნთქავ და
სხეულში გათბობ,
რომ სიკვდილშიაც
არ მიმატოვო.

### სხივი მამათა

„თქვან: აღასრულა მან
თვისი ვალი“.

ილია.

ისე ვერ მღერის
იქნებ ციხკარი,
ვერ ალსდგა თავის
სიგრძე-სიგანით.
დღეს-ხვალიობით,
ყოფნა-არყოფნით,
აღსდგა ნელ-ნელა,
წელთა დაყოფით.

აღსდგა ბილიკით,
აღსდგა წყაროთი,
ჩემი და შენი
ღმერთის წყალობით,
ძველი კედლებით
და წარწერებით,
ხატზე შეფიცულ
საწყალ მძევლებით.
ვეფხვთან დაჭრილი
მოყმის ყივილით,
თამარდედოფლის
მოდგმის ღიმილით.
მეათასედი,
იქნებ, მცირედიც
იმისა, რასაც
ჰქვია იმედი.
მაგრამ იმ სიტყვამ,
სიტყვამ მებრძოლმა,
ჭუჭრუტანებშიც
შესძლო შეძრომა.
იმ სიტყვამ, რაშიც
ვეძებთ სამართალს,
ცოტა ხომ მაინც
გამოანათა.

ცოტა ხომ მაინც
გამოანათა,
დიდი მზე თუ ვერ
შემოიერთა,
ამ ნათელს ჰქვია
სხივი მამათა,
აწი თქვენ იცით
„შვილნო ივერთა“.

---

## საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წელი



# მარშლები იგონებენ მარშალს

**ცდებიან ისინი, ვისაც ჰგონია, თითქოს წუთისოფლად მთავარია რაც შეიძლება ხანგრძლივი სიცოცხლე, ანდა იმ სანუკვარი ოცნების აღსრულება, როდესაც ჯარისკაცი გენერლის ლამპასიან შარვალში გამოინაკვთება... სიცოცხლის ხანგრძლივობა ქვეყნის სამსახურში დაღვრილი ოფლის, იმ საქმის მნიშვნელობით განიზომება, რომელიც თავად არის სიცოცხლე — უკვდავი, დალოცვილი და თაობათათვის მისაბაძი. დღეს, საბჭოთა კავშირის შექმნის საზეიმო 60 წლის თავის მოსამზადებელ მონაკვეთში ვიხსენებთ იმათ, ვინც განასახიერებს ამ ეპოქალური მატიანის ყველაზე მძაფრ, გრიგალისებურ პერიოდებს.**

I.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს შენობის ერთ-ერთი კორპუსი. მორიგე ოფიცრებისა და ადიუტანტების გარემოცვაში მრავალ თბილ სიტყვას ვისმენ დიდებულ ქართველ ვაჟკაცზე. ვიცი, სამხედროებს ფარისევლობა არა სჩვევიათ... მოთათბირე გენერალიტეტის გამოსვლისთანავე ბრგე პოლკოვნიკს უზარმაზარ ნათელ კაბინეტში შევყავარ, რომლის მსგავსიც მარტოოდენ გამოჩენილ მხედართმთავართა ბრძოლისა და ცხოვრების ამსახველ კინოსურათებში თუ მინახავს, ბოდიშს ვუხდი საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, ქვეყნის საინჟინრო ჯარების მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშალ ნიკოლოზ შესტოპალოვს შეწუხებისთვის, მაგრამ იგი მაგრად მართმევს ხელს, მასიურ მოჩუქურთმებულ სკამისკენ ჟესტით მიმითითებს და როდესაც ერთმანეთის მოპირდაპირედ ვსხდებით, წარმოთქვამს:

— ჩვენთვის დიდი პატივია საქართველოდან მოსული ჟურნალისტის მიღება. მით უმეტეს, რომ ზუსტად იმ კაბინეტში ვსაუბრობთ, სადაც მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა არჩილ გელოვანი. მახსოვს, აქ ერთად რამდენჯერ განგვიხილავს კაპიტალური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, მისგან მუდამ ბრძნული რჩევა, კეთილი დარიგება, პრაქტიკული დახმარება მიგვიღია... ყველანი ვიცნობდით მას, როგორც საბჭოთა ხალხისა და ჩვენი ლენინური პარტიის ერთგულ შვილს, მშენებლობის თვალსაჩინო ორგანიზატორს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა შეიარაღებული ძალების გაძლიერებაში. თითქმის ორმოცი წელი შეალია მან არმიას. და ამ ხნის მანძილზე განვლო გზა უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის მსმენელიდან საინჟინრო ჯარების მარშლამდე, მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებლიდან საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილემდე.

არჩილ გელოვანი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ფრონტელი მშენებელი. ჩვენ, ვეტერანებს განსაკუთრებით გვახსოვს მძიმე ბრძოლები ყირიმსა და ჩრდილოეთ კავკასიაში 1941 წლის შემოდგომით და 1942 წლის გაზაფხულზე. ფეოდოსიისა და ქერჩის, სევასტოპოლისა და ოდესის დამცველები, ლეგენდარული მე-18 არმიის ჯარისკაცები და მატროსები უსაზღვრო მადლიერებით იხსენიებდნენ სამხედრო მშენებლებს, მათთვის თავდაცვის ზღუდეებს რომ აღმართავდნენ მომაკვდინებელი ცეცხლის ქვეშ. გელოვანი გახლდათ ამ სამუშაოთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ომის დამთავრების შემდეგ იგი დიდხანს მეთაურობდა შავი ზღვის ფლოტის სამშენებლო ორგანოებს და ტიტანური ენერგია გაიღო გმირი ქალაქის სევასტოპოლის აღდგენის საქმეში.

1962 წლიდან ა. გელოვანი მთელ რიგ სამხედრო-სამშენებლო სამმართველოებს განაგებდა თავდაცვის სამინისტროში. ჯარების დაბინავებისა და მშენებლობათა უფროსის პირველი მოადგილის, თავდაცვის მინისტრის მოადგილის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ყოფნისას ძალ-ღონე არ დაუშურებია კაპიტალური მშენებლობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის, არმიისა და ფლოტის საბრძოლო მზადყოფნის გაზრდისთვის... და ყველგან, სადაც კი პარტია გაგზავნიდა, მისთვის დამახასიათებელი დიდი პარტიული პასუხისმგებლობით ამართლებდა ნდობას.

მისი ხელმძღვანელობით მრავალი რამ გაკეთდა ჯარების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისთვის, სასწავლო-მატერიალური ბაზის განვითარებისათვის, სამხედრო-სამშენებლო ნაწილების კადრების მომზადებისათვის.

არჩილ გელოვანი ღრმად ჩასწვდა და დიდად აფასებდა პოლიტორგანოთა და პარტიული ორგანიზაციების როლს კაპიტალური მშენებლობის, პირადი შემადგენლობის სწავლისა და აღზრდის ამოცანათა გადაწყვეტაში. ყველა, ვისთანაც კი უმუშავია, თვალნათლივ რწმუნდებოდა მის მაღალ პარტიულ და ადამიანურ ღირსებებში. იგი იყო პრინციპული, მეტად მომთხოვნი საკუთარი თავისა და ხელქვეითებისადმი, ადამიანების მიმართ ერთობ გულისხმიერი და ყურადღებიანი.

პარტიამ ღირსეულად დააფასა მარშალ გელოვანის დამსახურებანი. არაერთხელ აურჩევიათ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში. იყო სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მის დამსახურებათა აღიარებას მოწმობს სამშობლოს მრავალრიცხოვანი ჯილდოები, რსფსრ დამსახურებული მშენებლის საპატიო წოდება, ლენინური პრემია...

ა. გელოვანმა კეთილი სახელი დატოვა. მისი პირადი ცხოვრებისა და შრომის მაგალითით ვზრდით ახალგაზრდა სამხედრო მშენებლებს.

მარშალი გელოვანი დიდად გაიხარებდა სამხედრო მშენებლობის დღევანდელი მიღწევებით. ჩვენ წარმატებით დავასრულეთ მეათე ხუთწლედი, მეთერთმეტე ხუთწლედში აღმავლობით შეგვაქვს წვლილი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში, და სწორედ ამ წარმატებებში ვხედავთ გელოვანის ნაღვაწსაც, იმას, რასაც შეალია მთელი თავისი ძალ-ღონე, ცოდნა და გულის მგზნებარება. დიახ!.. და ამიტომაც არის დიდი პატივი ჩვენთვის საქართველოდან მოსული ჟურნალისტის მიღება და საუბარი ადამიანზე სწორედ ამ კაბინეტში, სადაც მას მრავალი წლის მანძილზე დღე-ღამე უსწორებია.

II.

საბჭოთა კავშირის საჰაერო თავდაცვის ჯარების მარშლის პაველ ბატიცკის ბინა. ერთიანად საბრძოლო რელიქვიებით, მრავლისმეტყველი ფოტოსურათებით, ძვირფასი იარაღითა და ნანადირევის რქისაგან გამოთლილი მბზინავი ავეჯით გაწყობილი სადარბაზო. მასპინძლის ღიმილი, ბოხი ხმა:

— მოკლედ, ის კაცია, რომლის შესახებაც მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რაც არ გაუკეთებია... საინჟინრო ჯარების მარშალი არჩილ გელოვანი ერთობ პოპულარული და დიდად პატივსაცემი კაცი იყო. საფუძვლიანმა ცოდნამ, საოცარმა განათლებამ, სამსახურებრივ მოვალეობათა აღსრულებაში მუყაითობამ საშუალება მისცა საქმიანი კონტაქტები დაემყარებინა ხელქვეითებთან და ყველა ურთიერთმოქმედ ორგანიზაციასთან... არჩილ გელოვანი მსხვილ ობიექტთა მშენებლობის უბადლო ორგანიზატორად ითვლებოდა. ამგვარი მშენებლობები უზარმაზარ სახსრებს მოითხოვდა და უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენდა... ამხანაგმა გელოვანმა ამ ამოცანებს ღირსეულად გაართვა თავი. ასეთი რამ კი მხოლოდ გამოცდილ, პოლიტიკურად ნაწრთობ კომუნისტს ძალუძს, სწორედ ასეთი იყო არჩილ გელოვანი. თავს არ იზოგავდა, ამასვე მოითხოვდა ხელქვეითებისგანაც, მაგრამ სავსე იყო სიკეთითა და სიდარბაისლით. მუდამ ცდილობდა დახმარებოდა იმათ, ვისაც სჭირდებოდა... მახსოვს მრავალი შემთხვევა, როდესაც განკარგულების გაცემისთანავე საჭირო ხდებოდა ობიექტზე ყოფნა, და ისიც მუდამ იქ იყო, სადაც საქმის ინტერესები მოითხოვდა. თანამებრძოლებს შველოდა და ამის გამო საქმეც უფრო გვარდებოდა, დათქმულ ვადაში სრულდებოდა.

მე არ შემიძლია გიამბოთ ყველა იმ სამუშაოთა შესახებ, არჩილ გელოვანს რომ შეუსრულებია. მაგრამ ის კი შემიძლია გითხრათ — ყოველივე ერთად მოქცეული იყო მის უზარმაზარ, ტიტანურ, ჩვენი სამშობლოს თავდაცვის ძლიერებისთვის გაწეულ ურთულეს შრომაში. ასეთი თავდადებული შრომისთვის მუდამ მადლიერნი ვიყავით მეგობრისა და თანამებრძოლისა... ჩვენი სამსახურებრივი თანამშრომლობა ახლო მეგობრების კოლექტიური ურთიერთობის ხასიათს ატარებდა. ამგვარი შრომა სიხარულსაც გვანიჭებდა და კმაყოფილებასაც. მასთან ურთიერთობა სიმტკიცეს გვმატებდა ყოველგვარი რთული ამოცანის გადაწყვეტისას, რადგან ტექნიკური პრობლემების დაძლევას სათავეში ედგა ესოდენ ნიჭიერი და შრომისმოყვარე კომუნისტი.

III.

პერედელკინო. საბჭოთა კავშირის მარშლის, ივანე ბაგრამიანის აგარაკი. ბუნების სიმშვიდე. მშობლიური თბილისის გახსენება. სუფრის გაშლა ჩვენებურად... მეგობრის სახე.

— ძნელია აუღელვებლად საუბარი სულიერად ისეთ მეტად მახლობელ ადამიანზე, როგორიც იყო ჩემთვის არჩილ გელოვანი... არაერთგზის შევხვედრივარ მას სამოციან წლებში, როდესაც საინჟინრო ჯარების გენერლის წოდებით მთელი რიგი საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა. მანამდე კი ვიცოდი, რომ მან დიდი სამამულო ომის ფრონტებზე განვლო სამხედრო მშენებლის დიდი სკოლა თავდაცვითი ზღუდეების აგებისას სხვადასხვა ფრონტის ჯარის ნაწილებისათვის მაშინ, როდესაც გმირულად ვიბრძოდით ყირიმში, ჩრდილოეთ კავკასიაში და უკრაინაში... დიდი სამამულო ომის მონაწილეებს კარგად ახსოვთ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ჯარების წარმატებითი მოქმედებისთვის ზურგში თავდაცვის უზრუნველყოფას იმ ეტაპზე, როდესაც შეტევის ინიციატივას ჯერ კიდევ ჰიტლერული არმია ფლობდა. სწორედ ამ ქარცეცხლიან პერიოდში დიდად გაიზარდა არჩილ გელოვანის ავტორიტეტი საბჭოთა მთავარსარდლობის თვალში როგორც თავდაცვითი ზღუდეების თვალსაჩინო ინჟინერ-მშენებლისა... მას შავი ზღვის ფლოტის სარდლის მოადგილისა და სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების მთავარსარდლის მოადგილის თანამდებობა ეკავა. და მეტად სასიამოვნოა, რომ ჩემი მეგობრის მოღვაწეობა ამ საპასუხისმგებლო პოსტებზე აღინიშნა ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატისა და გმირი ქალაქის სევასტოპოლის საპატიო წოდების მინიჭებით... სამოციან წლებში მას ნიშნავენ თავდაცვის სამინისტროს ჯარების დაბინავებისა და მშენებლობების უფროსის პირველ მოადგილედ. რამდენიმე წლის შემდეგ, 1974 წლის მარტში იგი იკავებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მინისტრის მოადგილის პოსტს ყველანაირი მშენებლობისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების დაბინავების ხაზით. მისი უდიდესი გამოცდილება, თეორიული მომზადება, საინჟინრო ერუდიცია და ორგანიზატორული ტალანტი ბრწყინვალედ გამოვლინდა სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი სამსახურებრივი მოღვაწეობისას. მისთვის დამახასიათებელი ენერგიულობით, საოცარი სიმარჯვითა და შეუვალი ვაჟკაცობით წყვეტდა ყველა ამოცანას... ამიტომაც სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა სამხედრო მშენებლობათა ნიჭიერ ხელმძღვანელს და საინჟინრო ჯარების მარშლის უმაღლესი სამხედრო წოდება მიანიჭა. არაჩვეულებრივი გულის მქონე ამ შესანიშნავ ადამიანთან ხშირი შეხვედრები მუდამ დიდ მორალურ კმაყოფილებას მანიჭებდა... გულწრფელად მიყვარდა და პატივს ვცემდი. და ამიტომაც სამუდამოდ დამრჩა გულში ამ დიდებული ადამიანისა და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ნათელი ხსოვნა... ეჰ!... ძნელია ახლობლის დაკარგვა... და არც მისი გახსენება ყოფილა იოლი საქმე.

თბილისური დუდუკის ხმა ტკბილ-სევდიანად გვეფინება ძველი სარდლის ხელით დატრიალებული გრამფირფიტიდან.

* * *

მარშლები იგონებენ მარშალს...

და, აქ უკვე შეგვიძლია დასკვნა გავუკეთოთ მათ სიტყვას ქართველ კომუნისტზე, რომელსაც ვაჟკაცობისა და სიყვარულის მეტი არა დაუთესია რა თავისი ცხოვრების მჭექარე გზებზე. ადამიანი ხომ იდეის ერთგულებისა და რწმენის ეტაპების გავლით აღწევს ყოფიერების მწვერვალს. იმ უმაღლეს წამს, როდესაც გრძნობს, რომ ხალხისა და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, ყოველმხრივ წელში გამართული შედის არდავიწყების გალერეაში. დიახ, სწორედ ასე უცხოვრია და უბრძოლია უსაჩინოეს პიროვნებას, მოღვაწეს, მხედართუფროსს, პარტიის ერთგულ ჯარისკაცს. დიახ, სწორედ ასეთი ხალხის წვით იწრთო 60 წლის გმირული მატიანე.

**ვასილ მჭედლიშვილი,**
ჩვენი სპეც. კორ.
ქ. მოსკოვი.




● ●

სურათებზე: ზემოთ — საბჭოთა კავშირის მარშალი არჩილ გელოვანი; ქვემოთ — არჩილ გელოვანი სკკპ XXVI ყრილობის დელეგატთა შორის.

გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავისათვის

# პეტრე დიდიდან ლევ ტოლსტოიმდე







**აღმოსავლურ-მაჰმადიანური** მტრული გარემოცვის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლებში მრავალტანჯულმა მხცოვანმა მეფემ თეიმურაზ პირველმა, ერთმორწმუნე რუსეთიდან დახმარების მიღების მიზნით, 1652 წელს ქართველთა სამეფოს პოლიტიკური ერთგულების წარმომადგენლად მოსკოვს გაგზავნა თავისი ყრმა შვილიშვილი — ერეკლე დავითის ძე, რომელიც რუსეთში ნიკოლოზ დავითის ძის, ხოლო საქართველოში 1674 წელს საბოლოოდ დაბრუნებისა და გამეფების შემდეგ ერეკლე პირველის სახელით გახდა ცნობილი.

ტოლოჩანოვის ელჩობასთან ერთად დიდი ხნის მომქანცველი მგზავრობის შემდეგ, 1653 წლის 27 დეკემბერს ერეკლე ბაგრატიონი და ადრედაქვრივებული დედამისი — ელენე ქართველთა ბრწყინვალე ამალითურთ მოსკოვს ჩავიდნენ, სადაც ისინი დიდი პატივითა და ზეიმით მიიღეს კრემლში.

მართალია, ქართველ უფლისწულთა სტუმრად მიწვევა, ან თხოვნით ჩასვლა მოსკოვის სამეფო კარზე ადრეც ხდებოდა (მოვიგონოთ კონსტანტინე, ალექსანდრეს ძე, ბაგრატ იესეს ძე და სხვ.), ხოლო ბორის გოდუნოვისთვის ხოსრო ბატონიშვილი რუს ელჩს მ. ტატიშჩევს სასიძოდაც კი ჰყოლია ამორჩეული რუსეთის ახალი დინასტიის ბაგრატიონთა უძველეს გვართან დასანათესავებლად, მაგრამ არცერთ ამ ისტორიულად ცნობილ ფაქტს ქართველთა მოსკოვში დაფუძნება შედეგად არ მოჰყოლია.

ამგვარად, როგორც ეს მიღებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში (ვ. ტატიშვილი, ი. ცინცაძე, ნ. ნაკაშიძე, გ. პაიჭაძე...), ერეკლე ბატონიშვილისა და მისი ამალის რუსეთის სატახტო ქალაქში ჩასვლითა და იქ დასახლებით ეყრება საფუძველი მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიას.

რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძისადმი (1645-1676) გაგზავნილ წერილში თეიმურაზ პირველი საგანგებოდ მოითხოვდა, რომ მოსკოვის სამეფო კარზე მის შვილიშვილს ქართული ეროვნული ტანსაცმელი ეტარებინა, რითაც სურდა ხაზი გაესვა საქართველოს დამოუკიდებლობისა და რუსეთთან მეგობრული ურთიერთობისათვის.

რუსი სწავლულის გ. კოტოშიხინის ნაშრომში „ალექსი მიხეილის ძის მეფობისდროინდელი რუსეთის შესახებ" (ს.პ.ბ. 1906, გვ. 27) დამოწმებულია, რომ მოსკოვის სამეფო კარზე ქართველი უფლისწული, თურმე, საგანგებო უფლებრივი მდგომარეობით სარგებლობდა და სხვებთან შედარებით გაცილებით მეტი პატივიც ჰქონია: ალექსი მიხეილის ძეს ძლიერ დაუახლოვებია ერეკლე ბატონიშვილი და ყურადღებას და ზრუნვას არ აკლებდა მის აღზრდას. აქ დავაჟკაცებულ ქართველ უფლისწულს ლიტველთა და პოლონელთა წინააღმდეგ ბრძოლაშიც კი მიუღია მონაწილეობა, ესწრებოდა კარის დღესასწაულებს და სხვა (შდრ. ლ. მენაბდე, თსუ შრომები, ტ. 96, 1963, გვ. 188).

ამას უნდა დავუმატოთ ერთი საგულისხმო ფაქტიც:

1672 წელს, პეტრე პირველის მამის—ალექსი მიხეილის ძის ბრძანებით დაუმზადებიათ „დიდი სახელმწიფო წიგნი", ანუ როგორც მას უწოდებენ, „Царский титулярник". აქ წარმოდგენილია რუს ხელმწიფეთა გამოსახულებანი რიურიკიდან მოყოლებული ალექსი მიხეილის ძის ჩათვლით, აგრეთვე პორტრეტები მსოფლიო მღვდელმთავრებისა (კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და მოსკოვის პატრიარქები, რომის პაპი...) და უცხო ქვეყნების ხელმწიფეთა და მთავრებისა (ესპანეთის, საფრანგეთის, ინგლისის მეფეები, სპარსეთის შაჰი, თურქეთის სულთანი, ბუხარისა და ყირიმის ხანები და სხვ.). ამასთან ერთად, მათი ტიტულები, რუსეთისა და უცხოეთის გერბები და ბეჭდები — სულ 100-ზე მეტი პორტრეტი, გერბი და ბეჭედი.

წიგნის დამზადების მიზანი ყოფილა ეჩვენებინათ, საიდან მოდის რუს ხელმწიფეთა ძირი, როგორია მათი ტიტულატურა, გერბები და საბეჭდავები. ამას გარდა, როგორ უნდა მიემართათ მათ დიპლომატიურ მიმოწერასა და ურთიერთობაში უცხო ქვეყნების, როგორც ქრისტიან, ისე მუსლიმან ხელმწიფეთათვის მათი გერბებისა და ბეჭდების ჩვენებით. ასე რომ, აღნიშნული წიგნი მაჩვენებელია რუსეთის (მოსკოვის) სახელმწიფოს გაძლიერებისა, მისი ეროვნული და პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლებისა, რაც მას მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რუსულ წყაროთმცოდნეობაში.

„დიდი სახელმწიფო წიგნის" დედანი დღეს მოსკოვის ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება (ფ. 135, განყ. 5, რუბრ. 111, საქმე № 7). მისი ტექსტი მოსკოვში გამოცემულია XVIII საუკუნეში ნ. ი. ნოვიკოვის მიერ (ჩვენ ვსარგებლობდით 1791 წლის გამოცემით), რომელიც ახლა ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, ხოლო მხატვრობა ცალკე დაიბეჭდა 1903 წელს, პეტერბურგში.

როგორც შედარებამ გვიჩვენა, ნ. ნოვიკოვის მიერ გამოცემული ტექსტი დედანზე არ უნდა იყოს დამყარებული და მთელ რიგ უზუსტობებსაც შეიცავს, იგი რომელიღაც გვიანდელი ასლიდან შეიძლება მომდინარეობდეს. ასეთი ასლები კი, როგორც ჩანს, თავის დროზე რამდენიმე ყოფილა დამზადებული. ასე რომ, ნ. ნოვიკოვის ტექსტის უკრიტიკოდ გამოყენება არ შეიძლება.

ამ შემთხვევაში კი ჩვენთვის მთავარი მაინც ის არის, რომ „დიდი სახელმწიფო წიგნი" (ფ. 169-170) შეიცავს საინტერესო მასალას მოსკოვის სახელმწიფოსთან საქართველოს, კერძოდ, კახეთის და იმერეთის სამეფოების, აგრეთვე, სამეგრელოს სამთავროს ურთიერთობის თაობაზე XVI საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული ვიდრე XVII საუკუნის 70-იან წლებამდე. ვერ ვიტყვით, რომ აქ აღნიშნული ფაქტები სხვა წყაროების მიხედვით მთლად უცნობი იყოს ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის, მაგრამ იგი შეიცავს ზოგიერთ ახალ დეტალს, ან კიდევ, რაც უფრო საყურადღებოა, ავსებს და აზუსტებს ჩვენს წარმოდგენას იმაზე, თუ როგორი ადგილი ეჭირა საქართველოს მაშინდელი რუსეთის სამეფოს ამ, ასე ვთქვათ, დიპლომატიურ სახელმძღვანელოში. უქეთ, როგორი იყო რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ფორმები XVII საუკუნის მეორე ნახევარში.

ამას გარდა, სხვა უცხო ქვეყნების მფლობელთა პორტრეტული გამოსახულებებისა და სახელმწიფო გერბების გვერდით, მოსკოვის სამეფოს **„დიდ სახელმწიფო წიგნში" ჩართულია ფერადი საღებავებით შესრულებული ერეკლე ბატონიშვილის, ან როგორც მას რუსეთში იცნობდნენ, ნიკოლოზ დავითის ძის რუსულ წარწერაშემოვლებული ყვავილწნულებიანი ოვალური პორტრეტი: „ქართველი უფლისწული ნიკოლოზ დავითის ძე"** და, ასევე რუსულ-წარწერიანი საქართველოს გერბი წმინდა გიორგის გამოსახულებით (შდრ. გ. პაიჭაძე, მასალები, 1, თბ. 1974, გვ. 288 შმდ; ჩემი „არქეოგრაფიული ეტიუდები", ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება", 1978 № 3, გვ. 41-42) რადგან „დიდი სახელმწიფო წიგნის" მხატვრობა 1672 წლისთვის არის დამზადებული რუსეთის იმდროინდელი საუკეთესო შემოქმედებითი ძალების (ივანე მაქსიმოვი, დიმიტრი ლვოვი, გრიგოლ ბლაგუშინი და სხვ.) მიერ, **შეგვიძლია თამამად ვამტკიცოთ, რომ ერეკლე ბაგრატიონის აღნიშნული პორტრეტი ნატურიდან არის შესრულებული**, ვინაიდან ამ დროს ქართველი უფლისწული ჯერ კიდევ პეტრე პირველის მამის — ალექსი მიხეილის ძის სამეფო კარზე იმყოფება და საქართველოში საბოლოოდ მხოლოდ 1674 წელს დაბრუნდა.

• •

## 3. ქართველი უფლისწული მოსკოვის „დიდ სახელმწიფო წიგნში", პეტრე პირველი და „პრინცი ტარტარი"




**იაკობ სხელტემა** XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე ცნობილი ჰოლანდიელი მეცნიერია. სხვა საისტორიო თხზულებებთან ერთად მის კალამს ეკუთვნის პეტრე პირველის ჰოლანდიაში ყოფნის ამსახველი უმთავრესი წყარო: „პეტრე დიდი რუსეთის იმპერატორი ჰოლანდიასა და საანდამში 1697 და 1717 წ.წ.", რომელიც ძირითადად პეტრეს თანამედროვე ჰოლანდიელ ავტორთა სანდო ხელნაწერ დოკუმენტებზეა დამყარებული: ეს არის საანდამის საქალაქო საბჭოს წევრის იან ნომენის „დღიურები" და ნეგოციანტის კორნელი კალფის „უბის წიგნაკის ჩანაწერები".

ი. სხელტემას აღნიშნული შრომა 1814 წელს ამსტერდამში ჰოლანდიურ ენაზეა გამოცემული და დღეს დიდ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს (ჩვენ ხელთ გვქონდა ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცული ეგზემპლარი). მისი ნ. მუილმანისეული სრული ფრანგული თარგმანი 1842 წელს გამოქვეყნდა ლოზანაში, ხოლო ა. ს. ლაცინსკიმ რუსულად თარგმნა, შემოკლებული, მაგრამ არსებითი ნაწილი, რომლის ბეჭდვა 1916 წელს დაიწყო ჟურნალმა „რუსკაია სტარინამ".

ი. სხელტემას ამ წიგნში საყურადღებო ცნობებს ვპოულობთ ჰოლანდიაში პეტრე პირველთან ერთად ჩასული „დიდი საელჩოს" წევრის, რუსეთის მომავალი პირველი გენერალ-ფელდცეხმაისტერის ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონსა და მის იქ ყოფნაზე.

ი. სხელტემა ასახელებს პეტრე პირველის უახლოეს თანამოაზრეებსა და მეგობრებს, რომლებიც „დიდი ელჩობისას" ახლდნენ ჰოლანდიაში (ბორის კურაკინი, იაკობ დოლგორუკოვი, ანდრია მატვეევი, თევდორე აპრაქსინი და სალტიკოვი, ალექსი ნარიშკინი, თავადი შერემეტიევი, გრაფები გაბრიელ და მიხეილ გოლოვკინები) და შენიშნავს: **„მათ შორის ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევდა „პრინცი ტარტარი" (რუსულ თარგმანშია „კავკასიელი პრინცი" გ. შ.), საქართველოს მეფის შვილი ბაგრატიონთა გვარისა, რომლის მამა, ძმამ რომ ტახტიდან ჩამოაგდო, მფარველობისათვის რუსეთის მეფესთან გაეშურა და მას შემდეგ ცხოვრობდა მოსკოვში. იგი [„პრინცი ტარტარი"] ჩვეულებრივ, ტარტარულ (რუსულ თარგმანშია „ქართულ" გ. შ.) ტანსაცმელში გამოწყობილი გამოდიოდა, ზოგჯერ სპარსული (რუსულ თარგმანშია „აღმოსავლური", გ. შ.) ბრწყინვალებით მოხილი... დანამდვილებით არის ცნობილი, რომ ეს უფლისწული ბაგრატიონი... პეტრე პირველის თარჯიმანიც იყო".**

როგორც ვხედავთ, ი. სხელტემას ცნობით, ჰოლანდიაში პეტრე პირველის ერთ-ერთი უახლოესი მხლებელი ატარებს „პრინც ტარტარის" მეტსახელს, რომელიც ყოფილა „შვილი საქართველოს იმ მეფისა, ბაგრატიონთა გვარისა", რომელსაც ტახტი დაუკარგავს და რუსეთის მეფის მფარველობის ქვეშ ცხოვრობდა მოსკოვში.

ყველა ნიშნით, აქ უეჭველად იგულისხმება ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი. მაგრამ რატომ მოიხსენიებენ მას როგორც „პრინც ტარტარს"?

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ამ დროს (XVII ს.) დასავლეთ ევროპაში, კერძოდ, ჰოლანდიაში, საერთოდ, აღმოსავლელები, ე. ი. ქართველიც „ტარტარად" იხსენიებოდა (მოვიგონოთ თუნდაც ცნობილი ჰოლანდიელი მეცნიერის ნიკოლა ვიტცენის ნაშრომი: „Noord en Oost Tartary" ამსტერდამი, 1692 წ.), თანაც თუკი ეს „პრინცი ტარტარი", ი. სხელტემას სიტყვებით, „საქართველოს მეფის შვილი ბაგრატიონთა გვარისა", აღმოსავლურ („ტარტარულ") ე. ი. ქართულ ტანსაცმელს იცვამდა, ადვილი ასახსნელია, რატომ მოუნათლავთ ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი ჰოლანდიელებს „პრინც ტარტარის" მეტსახელით! ალექსანდრე ბატონიშვილი უცხოეთში რომ ქართულ ტანსაცმელს ატარებდა, ამას ადასტურებს აგრეთვე შვედი მხატვრის მარტინ მიუტენსის მიერ შესრულებული პორტრეტი ქართველი უფლისწულისა, მისი შვეციაში ტყვედ ყოფნის დროს. **მაშასადამე, დავიმახსოვროთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს ჰოლანდიაში თურმე იცნობდნენ „პრინც ტარტარის" მეტსახელით, რაც ნიშნავდა აღმოსავლელ, ანუ ქართველ უფლისწულს!**

1697 წელს ამსტერდამში ჩასულმა პეტრე პირველმა და ალექსანდრე ბატონიშვილმა პირადად გაიცნეს ამსტერდამის ბურგომისტრი ნიკოლა ვიტცენი (1641-1717), რომლის ხელშეწყობით და პეტრეს ბრძანებით ამსტერდამში დაარსებულა იან ტესინგის რუსული სტამბა, სადაც თურმე უნდა ებეჭდათ მხოლოდ რუსული საერო წიგნები, რადგან სასულიერო ხასიათის წიგნები მოსკოვში უკვე იბეჭდებოდა (ასეთი ყოფილა პეტრეს განკარგულება).

იან ტესინგის სტამბაში თავდაპირველად მოღვაწეობდა ილია კოპიევსკი, წარმოშობით პოლონელი, მესტამბე, რომელსაც რუსული ენაც საკმაოდ სცოდნია, ამიტომ პეტრე პირველს ამსტერდამში ყოფნისას სწორედ მისთვის მიუნდვია ეს საქმე.

აი, სწორედ ამ ილია კოპიევსკისთან ყოფილა ერთ ხანს სასტამბო ხელოვნების სასწავლებლად „ჭაბუკი ტატაჩიუკი", რის გამოც ჰოლანდიაში მოღვაწე პოლონელ მესტამბეს წერილიც კი მოუწერია პეტრე პირველისათვის:

**„...მომცეს მე სასწავლებლად ჭაბუკი ტატაჩიუკი ერთი წლის ვადით... სამი თვის მეცადინეობის შემდეგ, ძვირფას ტანსაცმელში გადაცმული და უფლისწულად (თავადად) მონათლული, მიჰგვარეს სხვა კაცს სასწავლებლად".**

აკადემიკოსმა პ. პეკარსკიმ 1862 წელს გამოცემულ ერთ თავის ნაშრომში ასეთი განმარტება მოგვცა ილია კოპიევსკის ამ მოწაფისა: „კოპიევსკი მას უწოდებს „ჭაბუკ ტატაჩიუკს"; თუ ამ უკანასკნელს წავიკითხავთ როგორც „ტატარჩიუკს" ე. ი. ტარტარის შვილს, მაშინ შეიძლება ეს ახალგაზრდა კაცი იყოს არჩილ იმერელი ბატონიშვილი, რომელიც პეტრე დიდმა წაიყვანა ამსტერდამს ევროპაში თავისი პირველი მოგზაურობის დროს. არჩილს ეძახდნენ „ტატარ უფლისწულს" („ტატარ თავადს"), რადგან იგი ზოგჯერ ბრწყინვალე აღმოსავლური ტანსაცმლით გამოდიოდაო".

რასაკვირველია, მცდარია პ. პეკარსკის განმარტება, თითქოს მოტანილ კონტექსტში შეიძლება არჩილი იგულისხმებოდესო (აქ, უბრალოდ, ერთმანეთშია არეული არჩილი და ალექსანდრე არჩილის ძე), მაგრამ ჩვენთვის ამჟამად მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ თავისი დროისთვის გამოჩენილი რუსი სწავლული შესაძლებლად თვლიდა ილია კოპიევსკის ამ მოწაფე „ჭაბუკ ტატაჩიუკში" ის ქართველი ბატონიშვილი დაენახა, რომელიც პეტრე პირველს ახლდა ევროპაში „დიდი ელჩობის" დროს. ასეთი კი, როგორც ვიცით, მხოლოდ ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი იყო, რომელიც ამ დროს მართლაც 22-23 წლის ჭაბუკი გახლდათ (ალექსანდრე ბატონიშვილი ხომ 1674 წელს დაიბადა). ხოლო რა უნდა ესწავლა ამ მოწაფეს ილია კოპიევსკისაგან? რა თქმა უნდა, მხოლოდ სტამბის ხელოვნება!

საგულისხმოა ერთი გარემოებაც: პეტრე პირველმა მაინცდამაინც იან ტესინგს რომ უბრძანა რუსული საერო წიგნების ბეჭდვა და თავდაპირველად ილია კოპიევსკიც აქ მოიწვიეს, ამას გაუნაწყენებია ისეთი ცნობილი ამსტერდამელი მესტამბეები, როგორიც იყვნენ ბლაუ და პეტცოლდი, რის გამოც მათ წერილებიც კი მიუწერიათ სტოკჰოლმში შვედ დიპლომატ და აღმოსავლეთმცოდნე იოჰან გაბრიელ შპარვენფელდისადმი. ხოლო თუ გავიხსენებთ, რომ მიკლოშ კიში ამსტერდამში სწორედ ამ ბლაუს სახელოსნოში დაოსტატდა, შპარვენფელდი კი კარგად იცნობდა როგორც მ. კიშს, ისე პეტრე პირველს, არჩილსა და ალექსანდრესაც ჯერ კიდევ 1684-87 წლებში მოსკოვში ყოფნის დროიდან (ბლაუმ და პეტცოლდმაც, ალბათ, სწორედ ამიტომ მისწერეს შპარვენფელდს წერილები. რათა ამ უკანასკნელს ეშუამდგომლა პეტრე პირველთან, და რუსული წიგნების ბეჭდვა მათთვის დაევალებინა!), რაღაც უხილავი ძაფები მართლაც შეიძლება გაიბას ილია კოპიევსკის ამ მოწაფე „ტატაჩიუკთანაც"; მით უფრო, თუ გავიხსენებთ, რომ, ი. სხელტემას ცნობით, ალექსანდრე ბატონიშვილს ჰოლანდიაში მეტსახელად „პრინც ტარტარის" ეძახდნენ, არც ის უნდა გაგვიკვირდეს, ილია კოპიევსკისაც „ჭაბუკ ტატა[რ]ჩიუკად" რომ გაცნობოდა.

თუ ეს მართლა ასეა, **მაშინ ჩვენ ვიგებთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ჰოლანდიაში, პეტრე პირველის თხოვნით, არა მარტო სამხედრო ხელოვნებას დაუფლებია, არამედ სასტამბო საქმესაც.**

ჩვენ აქ არ უნდა დაგვაფიქროს იმ გარემოებამ, რომ ბრწყინვალე ქართველი უფლისწული მესტამბეობას როგორ იკადრებდაო! ჯერ ერთი, საყოველთაოდ ცნობილია, რომ თვით უბრალოდ გადაცმული რუსეთის მეფე პეტრე პირველიც კი არ თაკილობდა ჰოლანდიაში, ბევრნაირი ხელობის სწავლას და საანდამში ჩასულმა, პირველ რიგში, სადურგლო ხელსაწყოები შეიძინა. მით უფრო არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს სტამბის ხელოვნება შეესწავლა, რაშიც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმავე ი. სხელტემას შემდეგი სიტყვები: **„ამსტერდამის ბურგომისტრი ვიტცენი ახალგაზრდა ქართველ უფლისწულს დიდი ყურადღებით და თანაგრძნობით ექცეოდა: მას იგი პატივს სცემდა მის თავზე დატრიალებული უბედურების გამო. ის არ შეიძლება გაოცებული არ დარჩენილიყო ადამიანური ბედის არაჩვეულებრივი უსამართლობის გამო, ხედავდა რა უფლისწულს, რომელსაც, როგორც გვარში უფროსს, წესით უნდა რგებოდა დიდი სამეფოს ტახტი, აქ კი ჰოლანდიაში, რუსეთის მეფის გულის მოსაგებად და მისი მონარქიის სასარგებლოდ, იძულებული იყო ესწავლა მდაბიო ხელობანი და ხელოსნობანი".**

და ეს სრულებით არ არის გასაკვირი მეორე გარემოების გამოც: შეიძლება არჩილმა თავის პირმშო ძეს საგანგებოდ კიდეც დაავალა ესწავლა სასტამბო ხელოვნება, რაც მისი გამუდმებული ზრუნვის და ოცნების საგანს შეადგენდა. არჩილს ხომ შესანიშნავი შემთხვევა ეძლეოდა: მისი უფროსი ვაჟი მიემგზავრებოდა ჰოლანდიაში, სწორედ იმ ქვეყანაში, სადაც წიგნის ბეჭდვის ხელოვნება უმაღლეს საფეხურზე იყო აყვანილი. ქალაქ ამსტერდამის ბურგომისტრი ნ. ვიტცენი კი მისი ძველი ნაცნობი მეგობარი გახლდათ, რომლის მეშვეობითაც არჩილი ამსტერდამიდან ქართული შრიფტის მოწოდებას და საქართველოში სტამბის გამართვას აპირებდა ჯერ კიდევ 1686-87 წლებში, ხოლო ვიტცენი მისგან ღებულობდა ცნობებს საქართველოს შესახებ თავისი მომავალი შრომისათვის „Noord en Oost Tartary", რომელიც პირველად 1692 წელს გამოიცა ამსტერდამში.

ამიტომ სრული უფლება გვაქვს დავუშვათ, რომ 1697-98 წლებში ჰოლანდიაში ყოფნისას ალექსანდრე ბატონიშვილისათვის ვიტცენის მიერ გაწეულ სხვა ამაგთან ერთად არჩილი თავისი შვილის სასტამბო საქმეში დახელოვნებასაც გულისხმობდა, როცა იგი მოსკოვიდან სამადლობელ წერილს წერდა ვიტცენს ჰოლანდიიდან ალექსანდრეს რუსეთში დაბრუნების შემდეგ.

არჩილის ეს წერილი ლათინურ ენაზეა დაწერილი და მოთავსებულია ნ. ვიტცენის ზემოთაღნიშნულ შრომაში (გვ. 533), რის შესახებ აკადემიკოსი მ. ბროსე ჯერ კიდევ 1857 წელს მიუთითებდა, მაგრამ არც მ. ბროსეს და არც სხვა ვინმეს დღემდე არჩილის ეს დიდად მნიშვნელოვანი წერილი არ გადმოუღია ამ ბიბლიოგრაფიული იშვიათობიდან, რის გამოც. იგი სრულიად უცნობია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ამიტომ აქ პირველად ვაქვეყნებთ არჩილის აღნიშნული წერილის ქართულ თარგმანს, რომელიც ჩვენ მიერ გადმოწერილი ლათინური დედნიდან შეასრულა ლევან ბერძენიშვილმა:

**„ღვთის წყალობით ვინც არის დავითისა და სოლომონის ძირისაგან, ბაგრატიონთა გვარისა, მთელი ლიხთ-იმერეთის მეფე არჩილ ვახტანგის ძე,**

**ჩვენს უმოწყალეს მეგობარს და კეთილის მოქმედს ბრწყინვალე ბატონ ნიკოლა ვიტცენს, ბურგომისტრს — სალამი!**

**პირველს ორატორთაგან, დემოსთენეს რომ ჰკითხეს, რა აქვს კაცს მსგავსი ღვთისაო, მან მიუგო: ქველმოქმედება! სწორედ სიქველის ამ ელვარებით მრავალსა და განსხვავებულს აღემატება თქვენი ბრწყინვალება. მართლაც და უცხოელებსაც, ისევე როგორც თანამემამულეებს, ამკობთ ქველმოქმედებით, რისი ჭეშმარიტი მოწმეცაა ჩვენი ძე ალექსანდრე, რომელმაც თქვენი სიყვარულისა თუ შრომის მეოხებით სხვადასხვა სიკეთით აღვსებულმა, ყოველივე გვამცნო ჩვენ. ამის გამო უდიდეს მადლობას მოვახსენებ თქვენს სიყვარულსა და შრომას, რადგან ჭეშმარიტი მეგობარი შეიცნობა:**

**შრომით,**
**სიყვარულით,**
**ზნით,**
**სიტყვით,**
**საქმით.**
**სალამი".**

წერილს, დედანში, მართალია, თარიღი არ უზის, მაგრამ მისი დათარიღება ადვილად შეიძლება: რადგან არჩილი მოსკოვში მეორედ და საბოლოოდ 1699 წელს ჩავიდა და ალექსანდრე ბატონიშვილიც ამ დროს დაბრუნდა ევროპიდან, ხოლო წერილში არჩილი ვიტცენს ატყობინებს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილმა ეს-ესაა გვამცნო თქვენს მიერ გაწეული ზრუნვა და ამაგიო. ცხადი ხდება, რომ არჩილის ეს მეორე წერილი ვიტცენისადმი 1700 წლის დასაწყისს ვერ გადმოსცდება.

ალექსანდრე ბატონიშვილი რომ 1697-98 წლებში მართლაც შეხვედრია ვიტცენს ამსტერდამში, ეს აქამდეც არ იყო საეჭვო (შდრ. ვ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, თბ., 1959, გვ. 257-258). კერძოდ, ნ. ვიტცენი ალექსანდრე ბატონიშვილისაგან კრებდა დამატებითი ცნობებს თავისი ზემოთ დასახელებული შრომის ახალი გამოცემისათვის, რომელიც მართლაც განხორციელდა 1705 წელს. ამის თაობაზე ი. სხელტემა პირდაპირ წერდა: **„...ქართველების და ჩერქეზების შესახებ ვიტცენი ცნობებს იღებდა თვით ქართველი უფლისწულისაგან, თითქოსდა იმ დახმარების სამაგიეროდ, ვიტცენმა მამამისს რომ გაუწია".**

ახლა მოვიტანთ იმის დამადასტურებელ ახალ უცილობელ ფაქტებს, საიდანაც ცხადად ჩანს ალექსანდრე ბატონიშვილის ახლო თანამშრომლობა ამსტერდამის ბურგომისტრთან:

საქმე ის არის, რომ ნ. ვიტცენმა 1692 წელს პირველად გამოსცა თავისი დასახელებული მონუმენტური შრომა, რომლის 316-373 გვერდები დათმობილი აქვს საგანგებო თავს საქართველოს შესახებ: „Georgia ofte Iberia". მაშინ ვიტცენი, მისივე აღიარებით, დავალებული ყოფილა არჩილ მეფის მიწოდებული ცნობებით.

რადგან ამ დროისათვის ალექსანდრე ბატონიშვილი ჯერ კიდევ არ იყო ჩასული ჰოლანდიაში, ჩვენ დავინტერესდით, ხომ არ არის რაიმე სხვაობა ვიტცენის აღნიშნული შრომის 1692 წლის პირველ და 1705 წლის მეორე გამოცემებს შორის, სახელდობრ, საქართველოსადმი მიძღვნილი თავის ფარგლებში.

შედარებიდან გამოირკვა, რომ 1692 წლის გამოცემაში უკვე დაბეჭდილია „ქართული ანბანი" (გვ. 316). ასე რომ, არ გამართლდა ვ. ტატიშვილის ვარაუდი, თითქოს იგი „ალბათ, ბატონიშვილ ალექსანდრეს მიერ შესრულებული ქართული ანბანიაო" (იხ. ქართველები მოსკოვში, თბ., 1959, გვ. 257). აქვე, 327-ე გვერდზე დაბეჭდილია ვიტცენისადმი 1687 წელს გაგზავნილი არჩილის ცნობილი ქართული წერილის ფაქსიმილე, მაგრამ აქ ჯერ არ გვხვდება არჩილისა და ერეკლე I-ის (ნიკოლოზ დავითის ძის) ცნობილი შეწყვილებული პორტრეტი და არც „ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონი", რომლებიც დამატებულია 1705 და 1785 წლების გამოცემებში (იხ. გვ. 506-515, 524).

აქედან ცხადი უნდა იყოს, რომ არჩილისა და ერეკლე I-ის, ე. ი. მამისა და ბიძის პორტრეტები, რომელთაც იცნობდა ვიტცენი, ალექსანდრე ბატონიშვილს უნდა ჩაეტანა ჰოლანდიაში და ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონიც მისი დახმარებით შეადგინა ვიტცენს" (იხ. ნ. ორლოვსკაია, საქართველო XVII-XVIII ს.ს. დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში, თბ. 1965, გვ. 226-234).

ალექსანდრე ბატონიშვილის შემწეობით ეს ახლადდამატებული მასალები (და ზოგიერთი ახალი ცნობა საქართველოს შესახებ), როგორც ვთქვით, ვიტცენს შეუტანია თავისი შრომის მომდევნო, 1705 წლის გამოცემაში, ისინი შესულია აგრეთვე ამ შრომის ავტორის სიკვდილს შემდგომ 1785 წლის მესამე და უკანასკნელ გამოცემაშიც).

**ჩვენთვის უფრო მთავარი მაინც ის არის, რომ, როგორც არჩილის 1700 წლის დამდეგს ვიტცენისადმი გაგზავნილი ლათინური წერილიდან საბოლოოდ გაირკვა, ვიტცენის „სიყვარულისა და შრომის მეოხებით" ჰოლანდიაში XVII ს-ის მიწურულს მყოფი ალექსანდრე არჩილის ძე „სხვადასხვა სიკეთით აღვსებულა", ხოლო ამ „სხვადასხვა სიკეთით აღვსებაში", ი. სხელტემას და ი. კოპიევსკის ცნობათა შეპირისპირებით, ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ამსტერდამში სასტამბო ხელოვნების დაუფლებაც უნდა იგულისხმებოდეს.**

ასე რომ, არაფერია მოულოდნელი იმაში, თუ ჰოლანდიიდან დაბრუნების შემდეგ სულ მალე, — 1700 წლის 19 ნოემბერს, შვედებთან ტყვედ ჩავარდნილ ალექსანდრე ბატონიშვილს გამოეჩინა თაოსნობა და 1703 წელს სტოკჰოლმში, ჰენრიკ III კაიზერის სტამბაში ჩამოესხა ქართული ასომთავრული და ნუსხური შრიფტის თავისებური სახეობანი, რომლის ანაბეჭდებს ჩვენამდეც მოუღწევია და დღეს შვეციაში — სტოკჰოლმის სამეფო და უფსალის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებშია დაცული. სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად ჩვენი საუკუნის 30-40-იან წლებში ისინი ცნობილი გახადეს შვედმა მეცნიერებმა კარლ ბიორკბომმა და ერიკ გრენმა.

**გურამ შარაძე.**

• •

**სურათებზე:** არჩილ მეფე და ერეკლე პირველი (ევროპული გრავიურა ნიკოლა ვიტცენის წიგნიდან: „ჩრდილო და აღმოსავლეთი ტარტარია", ამსტერდამი, 1705 წ.); ერეკლე პირველის, იგივე ნიკოლოზ დავითის ძე ბაგრატიონის ფერწერული პორტრეტი, შესრულებული მოსკოველი მხატვრის მიერ 1672 წელს „დიდი სახელმწიფო წიგნისათვის"; საქართველოს გერბი მოსკოვის სამეფოს „დიდ სახელმწიფო წიგნში", 1672 წ.; ამსტერდამის ბურგომისტრი ნიკოლა ვიტცენი, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა არჩილ მეფესთან და ალექსანდრე ბატონიშვილთან საქართველოს შესახებ მასალების შეგროვებასა და ამსტერდამული ქართული შრიფტის ჩამოსხმაში.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" №№ 178, 188.

---

## ყაბახი

### ასპარეზობენ ნორჩები

**თბილისში** გრძელდება ნორჩ (10-11 წლის) ფეხბურთელთა ტურნირი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე.

„ტყავის ბურთის" ამ პოპულარულ შეჯიბრებაში წარმატებით გამოდიან ჩვენი რესპუბლიკის გუნდები. მეორე ტურის მატჩებში თბილისის „მართვემ" ანგარიშით 2:0 დაამარცხა ლენინგრადის „დრუჟბა", ხოლო რუსთავის „იმედმა" — მოსკოვის „კომეტა" ანგარიშით 4:0.

მეორე გამარჯვება იზეიმეს სომეხმა ფეხბურთელებმა რუსეთის ფედერაციის V გუნდთან — 2:0. წარმატებით იასპარეზეს ესტონელებმაც. მათ დაამარცხეს მოლდავეთის გუნდი — 3:0, თურქმენებმა კი — უკრაინელები — 1:0, ყაზახეთისა და რუსეთის ფედერაციის I გუნდების შეხვედრა ფრედ — 1:1 დამთავრდა.

ასტრონომიული ანგარიში — 15:0 აღინიშნა ტაჯიკეთისა და ლატვიის გუნდების მატჩში. გაიმარჯვეს ბალტიისპირელებმა.

ორი ტურის შემდეგ ლიდერობენ: **პირველ ჯგუფში** ესტონეთი და თბილისი — 4-4 ქულა, **მეორე ჯგუფში** სომხეთი — 4 ქულა, **მესამე ჯგუფში** ლატვია და საქართველო — 4-4 ქულა, და **მეოთხე ჯგუფში** რუსეთის ფედერაციის IV და VI გუნდები — 3-3 ქულა.

### „ოქრო"—საბჭოთა მოჭიდავეებს

**ხუთი** ოქროს მედალი დაისაკუთრეს თავისუფალი სტილით მოჭიდავე საბჭოთა სპორტსმენებმა კანადის ქალაქ ოტავაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში.

მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მეოთხედ მოიპოვა მოსკოველმა ს. კორნილაევმა (48 კგ-მდე წონით კატეგორიაში), პირველი ადგილი დაიკავეს აგრეთვე ოლიმპიურმა ჩემპიონმა კიეველმა ა. ბელოგლაზოვმა (57 კგ-მდე), ყდანოვლმა მ. ხარაჩურამ (68 კგ-მდე) და დონეცკელმა ი. მატემ (100 კგ-მდე). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მსოფლიო ჩემპიონატების დებიუტანტის, გროზნოელი თ. ძაგოევის გამარჯვება 82 კგ-მდე წონით კატეგორიაში.

### საზონათშორისო...

**ვაჟ** მოჭადრაკეთა შორის მექსიკის ქალაქ ტოლუკაში მიმდინარე საზონათშორისო ტურნირზე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ი. სეირავანმა (აშშ) მოუგო ბ. ქუათლის (ლიბანი), ხოლო პოლუგაევსკი (სსრ კავშირი) — ჯ. ნანისა (ინგლისი) და ჯ. ნან — ა. როდრიგესის (კუბა) პარტიები ყაიმით დასრულდა.

ამრიგად, 3 ტურის შემდეგ ა. ადორიანსა (უნგრეთი) და ი. სეირავანს 2,5—2,5 ქულა აქვთ, ხოლო ი. ბალაშოვსა (სსრ კავშირი) და ი. ივანოვს (კანადა) — 2—2. 1,5—1,5 ქულა დააგროვეს ლ. პორტიშმა (უნგრეთი), ბ. სასიკიმ, ლ. პოლუგაევსკიმ, ა. იუსუპოვმა (სამივე — სსრ კავშირი), ე. ტორემ (ფილიპინები) და კ. პულაკმა (იუგოსლავია).

### სატურნირო ორბიტა

**შაში.** ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე მატჩის მესამე პარტია ო. ლევინასა და ე. ალტშულს შორის საერთაშორისო შაშში, კვლავ ყაიმით დამთავრდა. ანგარიშია 1,5-1,5.

**თანამედროვე ხუთჭიდი.** სპორტის ამ სახეობაში ქალთა შორის მსოფლიოს მეორე ჩემპიონატი, რომელიც გაიმართა საფრანგეთის ქალაქ კომპიენში, დამთავრდა დიდი ბრიტანეთის სპორტსმენთა სრული გამარჯვებით. პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს ვ. ნორმანმა — 5311 ქულა, ს. პარკერმა — 5136 და ე. ტეილორმა — 5038 ქულა (სამივე — დიდი ბრიტანეთი). ბრიტანეთია, გუნდურ ჩათვლაშიც წარმატება წილად ხვდათ ინგლისელებს — 15505 ქულა. მეორეზეა აშშ-ს გუნდი —14731. ჩემპიონატის დებიუტანტი საბჭოთა გუნდი მეექვსე ადგილზე გამოვიდა.

### გასწორება

**ჩვენი** გაზეთის 14 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ მასალაში „გზა დაელოცოს", რომელიც ეძღვნება ასტრახანის თევზის მრეწველობისა და მეურნეობის ტექნიკური ინსტიტუტის ფოთის დაუსწრებელი სწავლების სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გახსნას, დაშვებულია უზუსტობა. უნდა იყოს არა — „1982-83 სასწავლო წლისათვის დაგეგმილია 25 კაცის მიღება", როგორც ეს ნათქვამია ტექსტში, არამედ: „1982-83 სასწავლო წლისათვის დაგეგმილია 125 კაცის მიღება".

რედაქტორი გ. ბედინეიშვილი.

---

ტელევიზია

14 აგვისტო

მოსკოვი

15 აგვისტო

თბილისი

...მაი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი გიორგის ძე ბედინეიშვილი და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60434 უე 08408 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო ქაღალდი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20